

# ნოდარ ჯალაფონია

უნდა ჰგავდეს  
სიცოცხლეს -  
სამშობლოსთვის  
სიკვდილი

F 93.829  
3



# ნოზარ ჯალაღონია

უნდა ჰეგავდეს სიცოცხლეს -  
საშობლოსთვის სიკვდილი

გამომცემლობა „ზანი“  
თბილისი, 2009



საქართველოს  
პარლამენტის  
იროვნული  
გიბლიონთა

რედაქტორ-გამომცემელი მურმან ზაქარაია  
რედაქტორი ჯეგალ შონია

ISBN 978-9941-9078-7-6

© ნ. ჯალალონია, გამომცემლობა „ზანი“, 2009

## პოეტი - მლოცველი

ჩემთვის დიდი პატივია ბატონ ნოდარ ჯალაძონიას შემოქმედებასთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვის თქმა, უპირველეს ყოვლისა, იმის აღნიშვნა, რომ იგი ჩემი საყვარელი პოეტია, შინაგანად ახლობელი, მოსანატრებელი, რომლის წიგნებსაც ხშირად ვფურცლავ, ხშირად ვუბრუნდები მის ერთსა და იმავე ნაწარმოებს... განსაკუთრებით იმ ლექსებს, რომლებიც სამშობლოს ეძღვნება; ალბათ იმიტომ, რომ სამშობლოს გამო ვერც პოეტია მშვიდად და ვერც მე დავმშევიდებულვარ.

„როცა სამშობლო გმინავს და ოხრავს,  
 როცა ქვეყანა დგას ბეწვის ხიდზე,  
 დუმილი სულაც არ არის ოქრო,  
 დუმილი სულაც არ ნიშნავს სიბრძნეს.“

როცა გჭირდება ჭკუა და ძალა,  
 დროა ბრძოლის და სიმართლის თქმისა,  
 დუმილით ბევრი სიბრიყეეს მალავს,  
 ბევრის დუმილიც სილაჩრეს ნიშნავს.“

პოეტიბა არც ხელობაა და არც თანამდებობა, ესაა სულისა და ინტელექტის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელსაც პოეტის ტიტულს ხალხი ანიჭებს, ხალხი, რომელიც საკუთარ გულის მესაიდუმლება და მთქმელს განსაკუთრებული მადლიერების ნიშნად უბოძებს ხოლმე ამ სახელს.

ჩეენი თვალი ათას ფერს ხედავს გარშემო, სმენა ათასგვარ მოტივს იჭერს, გულს ათასგვარი გრძნობა მსჯელავს... ხშირად ამაოდ ვეძებთ სიტყვებს ამ შთაბეჭდილებათა გამოსათქმელად და უცრად აღმოვაჩენთ, რომ თურმე ჩვენს გულში ღრმად ჩაუხედავს რომელიმე ხელოვანს და ჩვენი ემოციებისათვის სახელი დაურქმევია, საკუთარ შეგრძნებათა და ფიქრთა ლაბირინთიდან შშვიდობიანად გამოვუყვანივართ და შემდგომი „სავალი გზისა“ გაუადვილებია. ამ ღროს ისეთი უცნაური სიხა-

რული გვეუფლება ერთობისა, თანაშემოქმედებისა, კურსების მართლაც რაიმე წვლილი შეგვეტანოს ამ ნაწარმოებში – ჩვენთვის, ჩვენს საშეღად, ჩვენს დასატკბობად დაწერილ ნაწარმოებში.

რა არის პოეტური ნიჭის საიდუმლო – ცხოვრებისეული გამოცდილება? ალდო? მჭვრეტელობითი უნარი? ლეთის მიერ ნაბოძები ნათელმხილველობა?

ნოდარ ჯალაძონიას შემოქმედება მრავალი წელია მოჟყვება ჩვენს ცხოვრებას. სტუდენტობიდან, როდესაც ყველა ქართველი პოეტის (ნამდვილი პოეტის) შემოქმედება ლამის ზეპირად ვიცოდით, ეროვნული მოძრაობის აზვირთებიდან, როდესაც ბატონი ნოდარი უმაღლ ჩასწვდა მიმდინარე მოვლენების არსს, თავისუფლების მშვენიერი იდეა თავისი პოეზიის ქვაკუთხედად აქცია და რამდენადაც ჩვენ, მე პირადად, უსამშობლოდ არც ერთი თემა და საკითხი არ გვეხლობლებოდა, მისი ლექსების მუდმივ მკითხველად გადავიქციოთ.

„გაუშძლებ ყველა ჭირსა და ვარამს,  
 სიავეს: მტრობას და ღუხვირ ყოფას,  
 მაგრამ სიკვდილზე უფრო მაშინებს  
 უსამშობლოდ და ულექსოდ ყოფნა“.

ნოდარ ჯალაძონიას რანგის პოეტები არ ბერდებიან; იგი მუდამ დროს მიჟყვება, ყველაზე აქტუალურს, მწვავესა და მნიშვნელოვანს ამჩნევს და თუ მუდმივი თემების ერთგულია, ეს არა იმიტომ, რომ რომელიმე ლამის კლუბში გამართული საეჭვო ლირებულების როკ-კონცერტის ამბავი არ გაუგია ან თანამედროვე ვაი-ლიტერატორთა ფიზიოლოგიური თვითანალიზის მეთოდს ვერ ჩასწვდა, არამედ იმიტომ, რომ მისი სმენისა და ჭვრეტის საგანი მამულია, ერია, ხალხია.

როგორც ყოველთვის, დღესაც თანამედროვეობა და პროგრესულობა დიდ გამძლეობას მოითხოვს, რათა ფსევდოპროგრესიზმია ჭეშმარიტი აზრი და ჭეშმარიტი ესთეტიკა არ ამოძირკვოს. სულიერი ფასეულობები არც ისე ცვალებადია, როგორც თანამედროვე პოპ-არტის

ზერელე მიმომხილველებს პგონიათ. ჭეშმარიტ აზრსხალიონი  
და განცდას დრო, შრომა და კომპეტენცია იძლევა,  
თანამედროვე ზარმაცებს კი ურჩევნიათ ისე მოიხვეჭონ  
სახელი, რომ ჯაფა არ დაადგეთ... ამიტომაცაა მათი  
ნაღვაწიცა და სახელიც ესოდენ ფუქსავატური და უდღუ  
ური.

დღეს საქართველოში ნამდვილი პოეტები ბერ-  
მონაზენებს დაემსგავსნენ (მაპატიეთ ეს თამამი შედარება):  
გარიყულთ და შეწირულთ, მლოცველთ იმათვის, ვინც  
ხშირ შემთხვევაში ვერც კი წვდება ლვთიური მადლის  
მნიშვნელობას...

ბატონი ნოდარი ამგვარი მლოცველია...

მე ვფიქრობ, ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, როგორ უხდება  
მის პოეტურ სიტყვას ჭარმაგი ადამიანის თმის სითეთრე  
და ჭაბუკურად მკვირცხლი მზერა...

მანანა ტაბიძე,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

10 აპრილი, 2008

## ისევ ჩვენ უნდა დავიცვათ

უბნელდებოდათ თვალები ჩვენი ცის, მიწის ყურებით  
და გეესეოდნენ მუმლივით ათასი მურვან-ყრუები.

უმეცრებსა და უვიცებს, წევარამში გამოკეტილებს  
არ ასვენებდათ შურ-ბოლმა ჯალათებს –  
ჯალალედინებს.

და დღესაც ბევრი უდმერთო გაგვითამამდა იქამდი,  
საქართველოს და ქართველებს გადაშენებას გვიქადის.

ჩვენი სიკედილი ვინც სცადა,  
თვითონვე იქცა მიწადა,  
რადგანაც ლმერთი გვწყალობდა და ლეთისმშობელი  
გვიცავდა.

აღარ გვივლია ამქვეყნად არც მარტო სხვათა იმედით,  
დარუბანდ-ნიკოფსიამდე საკუთარ ფეხით მივედით.

მაგრამ თუ ბედმა გვიმუხოთლა, ქვეყნა მართლა დაიქცა,  
თბილისიცა და მთაწმინდაც ისევ ჩვენ უნდა დავიცვათ.

სხვა არვინ შეეწირება ზეკარს, სალხინოს, საჩინოს,  
ის გელათიც და ვარძიაც ჩვენ უნდა გადავარჩინოთ.

რადგან ბაზალეთ-ალგეთის აქვნები ისევ ირწევა,  
ცხინვალი ბასიანად და გორი დიდგორიად იქცევა.

მტრების საფლავად იქცევა ჩვენი მთები და ველები,  
არც დღეს აკლია სამშობლოს ცოტნე და არაგველები.

რადგან გავლიერ გოლგოთა და სისხლიანი ქარ-წვიმა,  
 დეფისმშობლის წილხვედრს უფალი არც მომავალში  
 გაწირავს.

დიდ წინაპართა სახელი გვაურთიანებს, გვამთელებს  
 და საქართველო ისევე იცოცხლებს და იქართველებს.

დეკემბერი, 2008 წ.

## სამშობლოზე ფიქრობდა

როცა მეფეს თავის თავი სამსხვერპლოზე მიჰქონდა,  
 ქვეყნისათვის თავს დებდა და სამშობლოზე ფიქრობდა.

ის თევდორე მტრისგან განა პატიებას ითხოვდა,  
 მოკვეთილი მისი თავი სამშობლოზე ფიქრობდა.

კოსტაგორას მიმავალი ცოტნე სხვას რას იქმოდა,  
 როცა ტანზე თაფლს ისვამდა, სამშობლოზე ფიქრობდა.

ტკივილს, წუხილს, დარდს და სევდას როცა  
 ცრემლით იქრობდა,  
 9 ქმის დედა, ქართვლის დედა, სამშობლოზე ფიქრობდა.

ან ქეთვან დედოფალი განა გეირგვინს ითხოვდა,  
 როცა შანთით მკერდს აგლეჯდნენ, სამშობლოზე  
 ფიქრობდა.

არც პაატა ჯალათისგან წყალობას არ ითხოვდა,  
 ისპაპანში თავს რომ სჭრიდნენ, სამშობლოზე ფიქრობდა.

როს სამასნი არაგველნი მარაბდისკენ მიქროდნენ,  
 განა თავის სიცოცხლეზე, – სამშობლოზე ფიქრობდნენ.

გვყავდა ასი ათასიც ხომ მინდობილი ღვთის ნებას,  
მეტებთან რომ შეეწირნენ რწმენას, მამულს, ღირსებას.

თვით კვდებოდნენ, რომ ეცოცხლა თბილისს, დიდგორს,  
მარაბდას  
და ვაჟაცთა სახელები მამულს ედგნენ ფარადა.

აღარ თმობდნენ სამშობლოს და არც ღირსებას არ  
თმობდნენ,  
საქართველოს მტრებს და ჯალათს თავის სისხლით  
ათრობდნენ.

ეს იმათი სულით, რწმენით მოვალწიეთ აქამდე,  
საქართველო უკვდავი და უძლეველი გახადეს.

არ იქნება საქართველო ვეხზე ბორცილგაყრილი,  
აგერ იყო, სულ ახლახან, 9 მარტი და აპრილი.

არ გვაკლია თუმცა დღესაც კავნი და ოუდა,  
მჯერა, ბევრი მამულს იხევ თავს ზვარაკად მიუტანს.

თუ დასჭირდა ქვეყნისათვის ქართველს თავის დადება,  
სიკვდილის და ჯალათის წინ კვლავ ამაყად დადგება.

წინაპართა სისხლი გვიდუდს და ეს ყველამ იცოდეს,  
საქართველოს სიცოცხლისთვის  
იხევ დავთმობთ სიცოცხლეს!

02 ნოემბერი, 2008 წ.

## არავის დაემონება

საქართველოში ყოფილა ცრემლის ტბა, სისხლის  
მდინარეც,  
დიდგორის კელიც გვქონია და ბეწვის ხიდზეც ვიარეთ.

გვქონია კალოს უბანი და ზოგჯერ ფუტეც აყრილი,  
ჩვენს დამონებას ცდილობდნენ: ომით, ბრძოლებით,  
მახვილით.

ჩვენი გაქრობის მსურველნი თვითონ გაქრნენ და  
განქარდნენ,  
გამოვაღწიეთ ჯოჯოხეთს და მოვაღწიეთ აქამდე.

ვაგლახ, რომ დღესაც რამდენი ცდილობს ჩვენს დაშლას,  
დაყოფას,  
იუდას კერცხლით გვიპირებს დამონებას და დაპყრობას.

სურს, ისე გაგვიდიდგულდეს, არც გვითხრას და არც  
იკითხოს,  
თამარ-დავითის სამშობლო უნდა რომ ფულით იყიდოს.

უნდა რომ ფულით იყიდოს 9 ქმა და არაგველები,  
დაადოს ჯვარს და ვარძიას ფულით მოთხერილი ხელები.

მაგრამ ამაოდ დარჩება სურვილი და გაფიქრებაც,  
საქართველო და ქართველი არავის მონა იქნება.

გორგასალ-დავითიანის ჯიში არასდროს გაქრება,  
არც მახვილს დაემონება, არც ფულის მონა გახდება.



თუ ვაპარპაშეთ მამულში,  
 მოესურვება ვისაცა,  
 აღარ გვექნება სამშობლო  
 და არც საფლავის მიწაცა.

ყველა ერსა და ქვეყანას  
 აქეს თავის სიტყვა სათქმელი,  
 ცას მზე და მთვარე უხდება  
 და საქართველოს ქართველი.

აპრილი, 2009 წ.

## თუ მამულს არ ეწირება

ყველაფერი მთავრდება თურმე რაც კი იწყება,  
 დედამიწა ბრუნავს და ყველაფერი იცვლება.

ყველას კარგად გვანახვა ამ წლებმა თუ იმ წლებმა,  
 თაობა რომ იცვლება, ჩანს, ქვეყანაც იცვლება.

თუმც იგივე მიწა და თუმც იგივე ცა იყო,  
 წლებმა ბევრის სახელი ნაფოტივით წაიღო.

სახელები მეფის თუ ცეკას, ტეკას მდივნების  
 წარიტანა უჩუმრად წეთისოფლის დინებამ.

ისევ ხალხი აკეთებს არადანს და არჩევანს,  
 ხალხის ნების გარეშე არაფერი არ რჩება.

თუ ქვეყნისთვის არ იღვწის, ისევ დრო გვეუბნება,  
 ყველაფერი წყალია, ტახტიც, ხელისუფლებაც.

ყველაფერი წყალია, ქრება და იძირება,  
 რაც საკუთარ ხალხსა და მამულს არ ეწირება.

ივლისი, 2008 წ.

## ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრე

უცხო ენების ცოდნა და სწავლა, გაგიხარია,  
არ არის ცედი,  
მაგრამ ქართული ენა და სიტყვა არ უნდა დავთოთ  
არც ერთი წესით.

არ მოვიშალოთ უნდა არასდროს ქართულ ენაზე  
ლოცვა და ფიქრი,  
ის არის ჩვენი ძირი და ფესვი, სამშობლოში თუ  
სამშობლოს იქით.

არ შეიძლება, არა და არა, ქართული ენის ფერისცვალება,  
რადგან ქართული ენის სიკვდილი ნიშნავს სამშობლოს  
გარდაცვალებას.

ენის გარეშე ქართველი კაცი გადაგვარდება,  
უქვალოდ წავა,  
თუ ადარ ვიტყვით ქართულად „დედას“, თუ არ ვახსენებთ  
ქართულად „მამას“.

დედით იწყება დედასამშობლო, მამით იწყება  
ჩვენი მამული,  
მოღალატეა ყველა ქართველი, ვინც თავის ენას, სიტყვას  
არ უკლის.

აბა, ვისა აქვს ან რომელ ენას „გენაცვალე“ და  
„შენი ჭირიმე“,  
ქართული ენის, სიტყვის გარეშე „მრავალუამიერს“  
ვინ იღიღინებს.

სხვაგან სად ნახავთ ან სად მოისმენთ ლამაზ სიტყვების  
პანგსა და ფერებს,



ქართული ენის, სიტყვის გარეშე ჩვენს „იავნანას“ ვონდრების  
იმღერებს.

გლოვის უამს ქართულ სიტყვის გარეშე არც ცრემლის  
ტალღა არ აგორდება,  
ვერ აატირებს ქვეყნად ვერავის ქართველი ქალის  
მოთქმა, გოდება.

ჭირში და ლხინშიც ქართული ენა გვაღიძგულებს და  
გვმატებს ძაღლასაც,  
ის აფოლადებს ქართველი კაცის  
გულსა და სულსაც, ხმალს და ქალამსაც.

ის არის ჩვენი ბატონ-პატრონი, სიამაყე და ჩვენი<sup>სიმდიდოეც,</sup>  
არ გაგვაჩნია ქვეყნად ქართველებს ქართულ ენაზე დიდი<sup>სიმდიდრე.</sup>

01.03.2009 წ.

## ხმალი და კალამი

ნაპოლეონის აზრით, ქვეყნად  
ორი ძალა არსებობს: ხმალი და  
კალამი.

უკვდავი და მარადია  
საქართველოს სვე და ბედი,  
დავითის ხმალს რუსთაველის  
კალამი რომ უდგას გვერდით.

მაგრამ ჭირი თავს არ მალავს  
და ეშმაკის ხდება კურძი,  
თუ ილიას აზრს და კალამს  
შადიმანის ხმალი ებრძვის.

ეკარგება გზა და კვალი  
 ხმალს სიმტკიცის, კალამს სიბრძნის,  
 თუ სამშობლოს აღარ იცავს,  
 მამულისთვის თუ არ იბრძვის.

მაგრამ ის, ვინც ერთგულია  
 და თავის ხალხს გვერდით უდგას,  
 მისი ხმალი და კალამიც  
 სამშობლოსთვის გაცვეთს უნდა.

ასე იყო ჩვენში ოდით,  
 ამას ითხოვს უამი კვლავაც,  
 ქვეყნის ვალი ტვირთად აღევს  
 ქართულ ხმალს და ქართულ კალამს.

02ლისი, 2008 წ.

## გულებისა და ხელების ჯაჭვი

დღეს ერთად დგომა და ერთად ყოფნა  
 არის სამშობლოს ჯაჭვის პერანგი.  
 თუ ქართველები ვიქებით ერთად,  
 ეერას დაგვაქლებს მტერი ვერაგი.

მეგობრებისთვის ხელი ქართველის  
 ყოველთვის იყო გაწვდილ-გახსნილი,  
 მაგრამ მტერსა და ურდოს მოვარდნილს  
 ვეგებებოდით ხელში მახვილით.

დღესაც არ არის უამი დუმილის,  
 წუხილის, შიშის და უღონობის,  
 ჩენი გულების, ხელების ჯაჭვით  
 გავწყვიტოთ უნდა ჯაჭვი მონობის.

სემტემბერი, 2008 წ.

# „ომშა ბევრი გვასწავლა და დაგვანახვა“

ქართველი ჯარისკაცის ნათქვამი,  
ტელეეკრანიდან გაგონილი.

ომში ქართველმა ჯარისკაცებმა  
ბევრი ვისწავლეთ, ბევრი რამ ვნახეთ,  
ომშა გვაჩვენა საქართველოში  
ვაჟაცისა და ლაჩარის სახეც.

იქ, ბრძოლის ველზე, მიგხვდით, გავიგეთ,  
არ გვავიწყდება ახლა წამითაც,  
სამაჩაბლოდან ის მაჩაბელი  
ომში სიმღერით რატომ წავიდა.

ომშა გვასწავლა, ომშა გვანახვა  
და საფიქრალი აღარ გველევა,  
ომში გავიგეთ, რატომ შესწირეს  
სამშობლოს თავი არაგველებმა.

რა სათქმელია, აბა, სიკვდილი,  
თუკი სისხლი დუდს, თუკი გული ძგერს,  
ჩვენ გვერდით იდგა და მტერს ებრძოდა  
ცხრა ძმა, ცხრა გმირი ხერხეულიძე.

ჩვენ გვერდით იდგა ბერი თევდორეც,  
ელავდა ხმალი ჩოლოყაშვილის,  
გვადიდგულებდა სული დავითის  
და გორგასალის დროშა გაშლილი.

**6.მდ** ვნახეთ რეკორდთან, ჩვენი ბიჭებიც  
იქცნენ ვეფხვებად, იქცნენ არწივად,  
მოკვდნენ და არვის დანანებია  
სამშობლოსათვის თავის გაწირვა.

ომმა გვანახვა, ნაღდი ვაჟკაცი  
 სისხლს მამულისთვის ამაოდ არ ღვრის,  
 ომმა გვახწავლა, უსამშობლოოდ  
 ქართველი კაცის სიცოცხლე არ ღირს.

ასე ყოფილა, ასე იქნება,  
 რადგან უფალმა ასე ინება...  
 აღარ თავდება მათი სიცოცხლე,  
 ქვეყნის სიცოცხლეს ვინც ეწირება.

საქართველო, 2008 წ.

## უცნობი ჯარისკაცის საფლავი

ვინაც დიდგორის ველზე პირველნი  
 ეკვთნენ მომხდეურთ გულით მაგარით,  
 ის, ის ორასი გმირი ვაჟკაცი,  
 ნეტავ ვინ იყო ანდა რა გვარის?

ანდა, თბილისთან მტერს რომ შეაკვდნენ  
 თავდავიწყებით და გახელებით,  
 ხომ აღარ ვიცით გვარი, სახელი  
 ჩვენ იმ სამასი არაგველების,

არც ცხრა ათასი შეწირულისა  
 მარაბდაზე რომ მამულს პყოლია.  
 იმ ქართველ ბიჭებს თავის სახელის  
 და დიდებისთვის არ უბრძოლიათ.

და როცა მათი უკვდავი სული  
 უსამშობლოოდ საფლავშიც ვერ ძლებს,  
 თვითონ სახელი და უკვდავება  
 იმათ გვარსა და სახელებს ეძებს.



ბევრს, სამშობლოსთვის დაცემულ გმირებს უცნობი პქვია,  
ვაგლახ, რომ დღესაც უცნობი პქვია,  
ვინც აეფარა საკუთარ მკერდით  
თბილისისაკენ გასროლილ ტყვიას.

დედის უცრემლოდ საფლავში ჩასვლა  
რადგან წუხილი და ტკივილია,  
ყველა, უცნობი ჯარისქაცები,  
ყველა ქართველი დედის შვილია.

მათი სამკვიდრო და სალოცავი  
ხალხის გახსნილი გულის ქარია,  
სამშობლო არის მათი სახელი  
და საქართველო მათი გვარია!

30 აგვისტო, 2008 წ.

## აფხაზეთისთვის გმირულად დაცემულთა მემორიალი გმირთა მოედანზე

ვინც ესალბუნა და შეეწირა  
ქვეყნის ტკივილს და ქვეყნის ჭრილობას,  
ვაქებ, ვადიდებ და ვეფერები  
მათ სახელსა და გვარიშვილობას.

დღესაც სახელი და მათი გვარი  
ქვეყნის ხმალი და ქვეყნის ფარია,  
ჯალალონიას გვარის წაკითხვაც  
მეამაყება და მიხარია.

ყველა გვარი და ყველა სახელი  
ხვალის იმედით, რწმენით ამავსებს,

სამშობლოსათვის თავის დადგება  
ნიშნავს დარჩენას ამ ქვეყანაზე.

თქვენ, ვინც სიცოცხლეს არ იშურებდით  
და სიკვდილს ცივად უმზერდით თვალში,  
თქვენ აფხაზეთის ომში კი არა, –  
აფხაზეთისთვის იბრძოდით მაშინ.

როცა წინაპართ ხმები ისმოდა  
თქვენს ფიქრებში და თქვენს გულისხმაშიც,  
თქვენ აფხაზეთის ომში კი არა, –  
სამშობლოსათვის იბრძოდით მაშინ.

სულ სხვა ძალა და მაღლი შემატეთ  
თქვენს გვარს, თქვენს ჯილაგს და თქვენს ღირსებას.  
ვინც სამშობლოსთვის ცოცხლობს და კვდება,  
მისთვის სამშობლოს კარიც იღება.

თქვენი სახელი და თქვენი გვარი  
რჩება იმედად, რჩება ფიქრებად  
და თქვენთა შეილთა და შეილიშეილთა  
მარადიული ძეგლი იქნება!

აპრილ-გამეო, 2008 წ.

## საქართველოში ვინდა დაითვლის

საქართველოში ვინდა დაითვლის  
გამოვლინ დღეებს, წლებს და უკუნეთს,  
მაგრამ გმირი და თავის რჩეული  
ჰყავს ყველა დრო-ჟამს და საუკუნეს.

სხვისი არ ვიცი, სხვებმა თავისი  
 თქვან და ახსენონ დრო და ეპოქა.  
 საქართველოში ჩამოსათვლელად  
 ჩექნ ათი თითი აღარ გვეყოფა.

ათი რა არის, ათი რას პქვია,  
 ათი ვაჟქაცი რა სათქმელია,  
 საქებარი და სადიდებელი,  
 აგერ, სამასი არაგველია.

როგორ არა თქვათ და არ ვახსენოთ  
 ის ცხრა ვაჟქაცი ხერხეულიძე.  
 საფლავებშიც ხომ ბევრი უცნობი,  
 შინმოუსვლელი ბიჭის გული ძგერს.

ქვეყნის იმედად და სადიდებლად  
 საქართველოში მუდამ ივლიან  
 ფარნავაზები, გორგასალები,  
 თამარ, ქეთევან, შოთა, ილია.

მჯერა, სამშობლო არ დაივიწყებს  
 ცოტნეს და ზვიადს, თევდორეს, დავითს.  
 მტკვარს ახლაც სტკივა და არ ასვენებს  
 ასი ათასი მოჭრილი თავი.

სამარაბდე და ის მგლის ლეპვები  
 ალგეთში ისევ იბადებიან,  
 მაგრამ სამშობლოს თუქი დასჭირდა,  
 ის მხარგძელებიც წამოდგებიან.

რისი ათი და რისი ათასი,  
 ათი ათასიც რა სათქმელია,  
 საქართველოში ნამდვილ ვაჟქაცებს  
 არ ითვლიან და ისე ელიან.

## თავის დადება და თავდადება

როდესაც მტერი დედასამშობლოს  
აოხრებდა და წარდგნას უქადდა,  
თავი გაწირა, რადგან სამშობლო  
თევდორეს  
თავზე მეტად უყვარდა.

რადგან არასდროს აღარ ვყოფილვართ  
არც მტრის, არც ბედის მონა-მორჩილი,  
ომში ქართველებს ძალას მატებდა  
პაატას  
თავი უღვთოდ მოჭრილი.

არ მოჰქლებია მამულს არასდროს  
შეიღები მხნე და სახელქეშული,  
გვყავდა დემეტრე,  
მეფე დემეტრე,  
სამშობლოსათვის თავდადებული.

ჩვენში ალგეთის, არაგველების  
სისხლი და გენი აღარ თავდება.  
არ უნანიათ დღესაც ვაჟკაცებს  
სამშობლოსათვის თავის დადება.

მაგრამ სამშობლომ ისიც იხილა,  
მაგრამ დრო-ჟამმა ისიც გვაჩვენა,  
ბევრი გარბოდა საქართველოდან  
რეგენი თავის გადასარჩენად.

ნოემბერი, 2008 წ.

# მიხეილ თამარაშვილის გახსენება აგვისტოს თვეში

უცხო ციხა და მიწის ხიზანი  
სულის ტკივილებს ლოცვით იქრობდა  
და იტალიის ცას რომ უმზერდა,  
ის საქართველოს ცაზე ფიქრობდა.

სამშობლოში თუ სამშობლოს გარეთ  
ვინც თავის ხალხს და მამულს აქლდება,  
მათი სიცოცხლე ადარ თავდება  
და მათი სულიც ქვეყნად არ კვდება.

ბევრი ქართველის სირცხვილ-ღირსებაც  
როკის გვირაბთან ქარგად გამოჩნდა,  
იყო ის დღე და ის 8 აგვისტო  
ცოცხლებისა და მკვდრების გამოცდა.

როცა ქვეყნას უჭირს ძალიან,  
სამშობლო მარტო მიწა როდია,  
და ცოცხლად მკვდრები როცა გარბიან,  
გარდაცვლილები აქეთ მოდიან.

სსტემბერი, 2008 წ.

## ორი ათას რვა წლის აგვისტო

შემოესია ისევე ურდო  
ჩვენს მთა და ველებს, ცასა და მინდორს.  
მტერი ვერაგი, ცბიერი, უნდო,  
არც მკვდრებს, არც ცოცხლებს, არავის ინდობს.

როცა სამშობლოს თავისუფლებას  
ფეხით თელავენ ბარბაროსები,  
რად არ ელვარებს ლექსი – მახვილი,  
მიკვირს, რად დუმან ჩვენი მგოსნები.

რა დროს წყენა და რა დროს შუდლია,  
რა დროს ელდა და რა დროს შიშია,  
რა დროს მტრობაა ერთიმეორის,  
როცა სამშობლო გასაჭირშია.

12 აბპისტო, 2008 წ.

## უპირველესი ჩვენი მტერია

კრწანისის ომში მეფე ერეკლეს  
რატომ ვატკინეთ გული დალატით;  
საქართველოში ყაზბეგს და გრანელს  
რატომ ჩავაცვით გიჟის ხალათი.

რად ვერ ვისმინეთ, რად ვერ გავიგეთ  
ბარათაშვილის სულის ძახილი  
ან ბრძოლის ველზე ვახტანგ გორგასალს  
რატომ ჩავეცით ზურგში მახვილი.

ჩემო სამშობლოვ და ჩემო ხალხო,  
ხომ სირცხვილი და ხომ ტკივილია,  
გალაკტიონმა მოიკლა თავი,  
თვითონ ვესროლეთ ტყვია ილიას.

რატომ არ ვიცით ხანდახან ფასი  
ხალხის და ქვეყნის ერთგული შვილის,  
რატომ დავტოვეთ უსაფლავებოდ  
ტიციანი და ჯავახიშვილი.

ვერ გამიგია, ვერა და ვერა,  
 რად ვერ მივხვდით და რად ვერ ვიცანით  
 და უპატრონოდ რატომ დავტოვეთ  
 ასათიანი და ფიროსმანი.

რატომ დავტოვეთ ბედის ამარა  
 ქართული ენის, სიტყვის მერჯულე,  
 რად არ დავმარხეთ საქართველოში  
 შოთა რუსთველი ანდა მერჩულე.

ვაი, რომ დღესაც, დღესაც ვერ ვხვდებით,  
 ხარობდა მტერი და მოძალადე,  
 როცა ელანძღავდით ზვიადს და მერაბს  
 და ვადიდებდით ქვეუნის ჯალათებს.

კვლავ ერთმანეთის შურით და მტრობით  
 მტერმა სამშობლო სანამ გვითელოს,  
 სანამ ვისმინოთ აკაკის სიტყვა –  
 „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ“.

ვაგლაბ! ხომ დღესაც, დღესაც ვერ ვხვდებით, –  
 სამშობლო წვენთვის ყველაფერია  
 და ერთმანეთის შური და მტრობა  
 უპირველესი წვენი მტერია.

აპრილი, 2009 წ.

\* \* \*

საქართველოში, არ ვიცი რატომ,  
 მაგრამ ხომ ხშირად ყოფილა ასე,  
 ერთგულებას და ქვეუნის სიყვარულს  
 სიკვდილის შემდეგ ედება ფასი.

ბევრ მამულიშვილს, ღირსეულ ქართველს,  
 ვაგლას, რომ ხშირად ასედაც ხდება,  
 სიცოცხლეში რომ ვაგინებთ, ვლაპნდავთ,  
 სიკვდილის შემდეგ არ ვაკლებთ ქებას.

ოქტომბერი, 2008 წ.

## თუ ქართველები ვიქნებით ერთად

იყო კრწანისის დღე სისხლიანი  
 და შემოსევა სისხლისმსმელების,  
 მაგრამ ხომ იყო ის ბასიანიც  
 და ის სამასი არაგველებიც.

იყო ის ჟამი არც ისე შორი,  
 ისიც სასტიკი და სისხლისმდერელი.  
 იყო დალატი, იყო კოჯორი,  
 მაგრამ ხომ იყო დიდგორის ველიც.

გქონია წლები ამაზე ძნელიც,  
 ჩემი სამშობლოს მთებო და ველო,  
 იყო თბილისი ოთხასი წელი  
 უქართველოდ და უსაქართველოდ.

გადაიტანა ეს ყველაფერი  
 ქართულმა გენმა, ქართულმა ჯიშმა.  
 ვერა, ვერ სძლია ქართული სული  
 ვერავითარმა მტერმა და შიშმა.

დღესაც რწმენა და იმედი მხოლოდ,  
 რაც ოდითგანვე ქართველებს მოგვდგამს.  
 ვერც დღეს მოუღებს ვერავინ ბოლოს  
 გორგასლის ჯილაგს, დავითის მოდგმას.

თუკი გვექნება კვლავ ერთი პირი,  
 თუ გავუძელით შურსა და დალატბს,  
 გაჟყვება დრო-უამს ეს ქართლის ჭირიც  
 და საქართველო იქნება ხვალაც.

თუ ქართველები ვიქნებით ერთად  
 ჩვენი მზე ცაზე კვლავ იმზიანებს  
 და საქართველო ისევ, ისევვე  
 იდიდგორეს და იბასიანებს.

1 იანვარი, 2009 წ.

\* \* \*

არ მჰირდება ლაპარაკი  
 და არც ყალბი რიტორია,  
 მინდა ყველა ლექსი იყოს  
 ჩემი ქვეყნის ისტორია.

რადგან ჩემი ხატი არის  
 აქ სამშობლო, მაღლა ღმერთი,  
 მინდა მამულს შეეწიროს  
 ჩემი სისხლის ყველა წვეთი.

2008 წ.

\* \* \*

რადგან წუთისოფელი ბოლოს ყველას იმეტებს,  
 რაკი ბოლოს მიწაა ყველას თავშესაფარი,  
 უპატრონო კაცი თუ სიკვდილს უმზერს იმედით,  
 იყოს რისი იმედით უპატრონო საფლავი?

ოძეზობბერი, 2008 წ.

\* \* \*

განა მამულზე ფიქრობენ,  
განა სიმართლე ირჩევა,  
ქვეყნის დაქცევა იწყება  
როცა ხალხი ბრძოდ იქცევა,

როცა ყველანი ქვეყნის ბედს  
საკუთარ ჭკუთ წონიან  
და ყველას  
თავისი თავი  
სოლომონ ბრძენი პეონია.

აპრილი, 2009 წ.

\* \* \*

ისევ ვისმენთ ვერცხლის ჩხრიალს,  
ისევ ვხედავთ ქვეყნის ღალატს,  
ეს ამდენი ქიშპით, ჯიბრით  
საქართველო დაიღალა.

ერთმანეთის შური, მტრობა  
ნეტავ რატომ გვიზის სულში,  
დე, ერთმანეთს გავეჯიბროთ  
საქართველოს სიყვარულში.

აპრილი, 2009 წ.

## დალატის ჩემპიონები

გვევავს ჩემპიონი მრავალი  
მსოფლიოსა და ევროპის.  
ნიჭიერება ქართველთა  
არის დასტური ერობის.

არის დასტური, ნიშანი  
მათი ღირსების, გენების.  
სახელს მატებენ სამშობლოს  
ნამდვილი ჩემპიონები.

მაგრამ გვაფხიზდებს, გვაფრთხილებს  
„ქართლის ცხოვრების“ დაღადი,  
აღარ გვაკლია ქართველებს  
არც ნიჭი ქვეყნის დალატის,

არც ერთმანეთის შური და  
არც ერთმანეთის ქიშობა.  
ეს იყო, საქართველოს და  
ქართველებს სისხლს რომ გვიშრობდა.

როდესაც ვხდებით კავნის,  
იუდას ვერცხლის მონები,  
აღარ აკლია სამშობლოს  
დალატის ჩემპიონებიც.

ნოემბერი, 2008 წ.

\* \* \*

კაენისა და იუდას ცოდვას  
 დრო ყველას ისევ უბრუნებს უკან.  
 იქცევა ბოლოს შხამად და გესლად  
 ქვეყნის ღალატით ნაშოგნი ლუპმა.

02 ნოემბერი, 2008 წ.

## სამშობლოს მოღალატე შვილის დედის გოდება

აქამდე რატომ მაცოცხლე, ღმერთო,  
 თუ ამ სატანჯველს მიქადდა ბედი,  
 ვის გავაგონო, ვის შევასმინო  
 გოდება ცოცხლად შვილმკვდარი დედის.

ანდა შენ რატომ გამწირე, შვილო,  
 რად გამიმწარე სიბერის ხანა,  
 ჩემთვის ღალატი გერჩია ასჯერ  
 შენი ხალხის და სამშობლოს ღალატს.

სანამდე ვიყო ცოცხალი მქვდარი,  
 სანამდე ვზიდო ეს მძიმე ტვირთი.  
 მეგონა, ღედასამშობლოსათვის,  
 საქართველოსთვის გშობე და გზრდიდი.

მაგრამ დღეს ვხედავ, სიცოცხლე ჩემი  
 ისე იღევა და ისე ქრება,  
 რომ მოღალატის უბედურ ღედას  
 არ მაქვს შავების ჩაცმის უფლებაც.

თითქოს ყოველდღე საფლავში ვწვები,  
 დედების მზერა რომ ავიცილო,  
 რად გამიმწარე სიბერის წლები,  
 ქვეყნის და დედის უდირსო შვილო.

ასეთ სიბერეს ველოდი განა,  
 დამექაბს თეთრად გითევდი როცა.  
 რად არ შეირგე ის „იავნანა“,  
 ჩემი ალერსი და ჩემი ლოცვა.

• • •

რატომ მარგუნე, მაღალო ლმერთო,  
 ეს წამება და ეს უბედობა.  
 უშეილობა სჯობს ათასჯერ თურმე  
 ქვეყნად უდირსი შვილის დედობას.

რომ აგცდეთ ჩემი ხევდრი და ბედი,  
 სიბერის წლები გალიოთ ტკბილად,  
 მე, უბედური დედა, მოგმართავთ:  
 – ფრთხილად, დედებო, დედებო, ფრთხილად.

ფრთხილად, რომ თქვენი შვილების სული  
 ეშმაკ-მაცილებს არ ერგოთ წილად,  
 რომ ადარ იქცნენ იუდას კერძად,  
 ფრთხილად, დედებო, დედებო, ფრთხილად.

უნდა გაზარდოთ შვილები თქვენი,  
 უპირველესად, სამშობლოს შვილად.  
 დიდია თქვენი საქვეყნო ვალი,  
 ფრთხილად, დედებო, დედებო, ფრთხილად!

აპრილი-გაისი, 2008 წ.

\* \* \*

მუდამ იყო ქართვლის ჭირი  
 აქ ყოფნა თუ არყოფნა,  
 ერთი ცის და ერთი მიწის  
 კუთხეებად დაყოფვა.

თუ გვჯობნიდა ზოგჯერ სპარსი,  
 თურქი, რუსი, მონღოლი,  
 ეს, ეს იყო ჩვენი ქვეყნის  
 ბაბილონის გოდოლი;

ერთმანეთის შური, მტრობა  
 და დალატის მორევი,  
 სხვა არავინ ადარ არის  
 ქართველების მომრევი.

2007-2008 წ.წ.

\* \* \*

განა შურის, განა მტრობის,  
 ფეხზე მტკიცედ დგომის დროა,  
 ეს ამდენი მოღალატე  
 მტერმა როგორ მოაგროვა.

ეს შადიმან-ბაღვაშები  
 ასე რაღამ გააცოფვა.  
 რისთვის, რატომ, საქართველოდ,  
 ეს ამდენი შური, მტრობა.

რისთვის, რატომ, ვით გავუძლებთ  
 ამდენ ღალატს, ამდენ სირცხვილს.  
 სანამ ვღვაროთ ქართველებმა  
 ისევ ერთმანეთის სისხლი.

გარტი, 2008 წ.

## ვაი-პოლიტიკოსი

გველმა ხომ ტყავის გამოცვლა იცის,  
ის ხშირად რწმენას, პარტიებს იცვლის.

03.01.08, 2008 წ.

\* \* \*

როცა საწუთრო, ისედაც მოკლე,  
ცილისწამებით, ჭორით ივსება,  
როცა ქვეყანა არეულია,  
აღარ ედება ფასი ღირსებას.

როცა ვიღაცა გლანძდავს, გაგინებს  
და სულს გიწამლავს ცილისწამებით,  
თუმცა სხვა დროა და სხვა ეპოქა,  
ხანდახან თურმე დგება წამები,

ამგვარი ყოფით გულდამბიმებულს  
ისეთი ფიქრი დაგეუფლება,  
ო, როგორ გინდა იყოს დუელი  
და ბარიერთან დგომის უფლება.

აპრილი, 2009 წ.

\* \* \*

ძმაო ოსო და აფხაზო,  
წლებს და მტრებს ერთად ვუძლებდით.  
დღეს რა სიკეთეს მოგიტანს  
შენ იმპერია უძლები,

ვერ ხვდები, ჩემო ძმობილო,  
ლომს რომ ხახაში უძვრები?!

ღია გეგმი, 2008 წ.

## შემომეყარა ქართველი

„შემომეყარა ყივჩაღი  
საზღვანსა მუხლისასა“.  
ხალხური

შემომეყარა თბილისში  
ქართველი სახელ-გვარითა,  
ვებრძეით ერთმანეთს გულდაგულ  
ხან სიტყვით, ხანაც ხმალითა.  
ის თავის ნათქვამს არა თმობს,  
არც მე ვთმობ ცოცხალ თავითა,  
ჩვენი მტრობით კი ქვეყანაშ  
ვერა და ვერ იდავითა.  
ჩვენ რომ ერთმანეთს არ ვინდობთ  
დუშმანი ხარობს ამითა,  
ჩასაფრებული ყივჩაღი  
თვალს არ გვაცილებს წამითაც.  
ვაი, რომ ვეღარ მივმხვდარვართ,  
გულს რომ ვახარებთ მტრისასა...  
აქეთ მე ვკვდები, იქით ის,  
სამშობლო მიდის სხვისასა.

თებერვალი, 2009 წ.

# მოგვეც ქართველებს ნიჭი ერთობის

შიშით ვუყურებ დღეს ტელეეკრანს,  
ეს მძიმე ფამი ვინ დაგვიძედა,  
მამა შვილსა კლავს და შვილი მამას,  
დედა შვილს წირავს და შვილი დედას.

ნეტავ, საიდან ეს სისასტიკე  
კაენისა და იუდას მოდგმის  
ან შადიმანის, ბაღვაშის სული  
როდის იწყება, საიდან მოდის.

ალბათ იქიდან, როდესაც ვხდებით  
მონა სავარძლის, ვერცხლის და კუჭის.  
ო, მაშინ გვიპყრობს სატანის სული  
და საქართველოს ნამდვილად უჭირს.

მაშინ იწყება შური და მტრობა  
და ქართველები ერთმანეთს ვებრძვით.  
ო, მაშინ უჭირს სამშობლოს ჩვენსას  
და მაშინ ვხდებით ეშმაკის კერძი.

სწორედ იქიდან, იქიდან მოდის  
ფამი სიავის და უღმერთობის...  
მამაო ღმერთო, დედაო ღვთისა!  
მოგვეც ქართველებს ნიჭი ერთობის!

საქართველო, 2008 წ.

## ვერა და ვერ ეგუება

ვერა და ვერ ეგუება ეს გული ფიქრებს დარღიანს,  
როცა ქართველი ბიჭები საყურებით დადიან.

ქართველი როცა იბრძოდა და ხმალს მტრის სისხლით  
ფერავდა,  
ჯაჭვი კისერზე კი არა, ტანთ ეცვა რეინის პერანგად.

ის, ვინც ცოცხლობდა მამულის ფიქრით, რწმენით და  
ბედითა,  
იმ ვაჟებაცს გულზე ჯვარი და წელზე მახვილი ეკიდა.

არ თმობდნენ თავით ცოცხალით დიდგორს, კრწანისს  
თუ მარაბდას  
და არაგეელი ბიჭები ქვეყანას ედგნენ ფარადა.

მჯერა, რომ დღესაც არიან ბიჭები რეინის მკვნეტელნი,  
სამშობლოს ციხე-სიმაგრე და საქართველოს კედელი.

არ დალევია ჩვენს მამულს ის ალგეთელი ბიჭები  
და დღესაც ქართულ მიწაზე ამაყად დააბიჯებენ.

კვლავ ისინია დღეს ქვეყნის ვეზირიცა და ვაზირიც,  
მათია დედასამშობლო და რუსთაველის გამზირი.

გამხ-036060, 2008 წ.

## სისხლი და ოფლი თუ არ დაღვარე

არაფერს ნიშნავს ამ ქვეყანაზე  
მარტო ცისა და მიწის ყურება,  
არც გაჩენა და არც დაბადება  
არ არის შენი დამსახურება.

მთავარი არის, რისთვის მოხვედი,  
 წუთისოფლის გზა როგორ გალივ,  
 შენი სიცოცხლე, შენი ცხოვრება  
 რას შესწირე და რას შეალივ.

ამაო არის ქვეყნად ყოველი  
 და ის სიცოცხლეც სიცოცხლეს არ ჰგავს,  
 სიკვდილის შემდეგ შენი სახელი  
 თუკი სამშობლოს არ გამოადგა.

შენი ერის და შენი ქვეყნისთვის  
 სისხლი და ოფლი თუ არ დაღვარე,  
 მიწასთან ერთად თუ შენს სამარეს  
 ცრემლი და მაღლი არ დააყარეს.

თუკი იმედად არ შეემატე  
 სამშობლოს სახელს და ისტორიას,  
 იცოდე ქარგად,  
 – საქართველოში  
 არც ყოფილხარ და არც გიცხოვრია.

დეკემბერი, 2008 წ.

\* \* \*

რადგან სამშობლოს გზა არის  
 გზა გასავლელი ზეცამდე,  
 არ უნდა ვჭამოთ სირცხვილი  
 სანამდე მიწა შეგვჭამდეს.

არ უწერია დიდი დღე  
 ყალბ სახელსა და დიდებას.  
 საქართველოში კაი ყმის  
 სახელი არ იყიდება.

ისევ დრო-ჟამშა გვიჩვენა  
 უსამშობლოდ ვინც არი,  
 სახელს ვინ ჩივის, ისეთ კაცს  
 არ რჩება კუბოს ფიცარიც.

ნოემბერი, 2008 წ.

## ჩვენი მთები

ჩვენი მთები და მწვერვალი  
 განაღა მარტო კლდე არი,  
 ქართველი კაცის სულია,  
 მიწაზე დაუტევარი,  
 ქვეყნისთვის გათეთრებული  
 და მისთვის დამის მთევარი,  
 სამშობლოს ციხე-კოშკია,  
 ფარია და სატევარი.  
 სხვა არის მართლაც,  
 სხვა არის  
 მთების უმანქო ფიტქები  
 და იმ თოვლივით სუფთაა  
 მთიელი კაცის ფიქრებიც.

იანვარი, 2009 წ.

\* \* \*

ერთ დროს აქ სხვა ძეგლი იდგა,  
 სხვა სახელი ერქვა ქუჩას,  
 მაგრამ ბევრი გვარ-სახელი  
 დრო-ჟამს კედარ გადაურჩა.

ერთი არის ცხადზე ცხადი  
 და გაიგოს, ვინც არ იცის,  
 საქართველო გვარს და სახელს  
 არასოდეს გამოიცვლის.

01.03.2009 წ.

## თბილის ერქვა თბილისი, ქუთაიას – ქუთაისი

არ ყოფილა არასოდეს ჩვენში ქალაქ ცურტაველი,  
 არც ქალაქი მერჩულე და აღარც შოთა რუსთაველი,  
 არც ქალაქი ჭავჭავაძე, არც ქალაქი წერეთელი,  
 არც ქალაქი გორგასალი და არც აღმაშენებელი.  
 ქვეყნად ყოფნა ყველასათვის თუმცა წუთისოფელია,  
 ვერ ნახავდით ბაგრატიონს და ვერც ქალაქ ორბელიანს.  
 არსად იყო დადიანი, არც ქალაქი წავკისელი,  
 აღარც ხერხეულიძე და არც ქალაქი მაჩაბელი.  
 სამშობლო კი დღესაც მათით ცოცხლობს, ხარობს და  
 დღეგრძელობს,  
 რადგან იმათ გვარს და სახელს ერქვა მხოლოდ  
 საქართველო.

ეს იმათი შრომით, გარჯით, ეს იმათი ბრძოლით, სისხლით  
 თბილის ერქვა თბილისი და ქუთაიას – ქუთაისი.

მაგრამ უცებ საქართველოს მოევლინა, როგორც ჭირი,  
 იქით ორჯონიერი და აქეთ კიდევ სტალინირი.  
 არ ეგონოს ხუმრობა და არ ეგონოს ვინმეს ჭორი,  
 იყო ქალაქ მახარაძე, იყო ქალაქ გეგეტევრი,  
 იყო ქალაქ ცხაკაია და ბევრი სხვა დაბა, ქუჩა.

საქართველო, როგორც იქნა, წითელ ჭირხაც გადაურჩა. კულტურული მათი ყოფნა ცოდვა-ბრალი და წყლის ნაყოფილობის ის იმათი გვარ-სახელი ისევ იმ დროს, იმ ეამს გაჟუვა.

თორემ არც ერთ გვარს და სახელს არ მოვაკლებ

ხოტბა-ქებას,

ვინც იღვწის და იხარჯება თავის ქვეუნის საღიძებლად.

ვინც სამშობლოს ეწირება სულით, გულით, ნიჭით, კალმით, ყველა ქართულ გვარს და სახელს შემოუვლოს

ჩემი თავი.

იანვარი, 2009 წ.

## უცნობი ქალი მეტროს გაგონში

თითქოს ედემის კარი გაიღო,  
როცა ვაგონში შემოანათა,  
ქალები შურმა არივ-დარია,  
მამაკაცები მხრებში გამართა.

ქალი იყო და მერე რა ქალი,  
მართლაც ფუნჯით და კალმით ნახატი.  
არ მოექლოდი, ასე უეცრად  
აქ თუ ყინწვისის ფრესკას ვნახავდი.

აღტაცება რომ ვეღარ დავმალე,  
გაგულისდა და გაწყრა ამაზე  
და ხანჯალივით შემომაგება  
თავის თვალები და სილამაზე.

ავი ზრახვა და ფიქრები ავი  
რატომ გაივლე, ლამაზო, გულში,  
შეხედვას, ნახვას და აღტაცებას  
ია-ვარდი ხომ არავის უშლის.

იმ სიხარულს და იმ აღმაფრენას  
ვნების მისხალიც ადარ ერია,  
სილამაზე კი ყველას ექუთვნის  
ახალგაზდაა თუ ბებერია.

03.06.2008 წ.

## რაა სიცოცხლე

წუთისოფელი წუთია,  
სიცოცხლეც არაფერია,  
ფიქრით, ოცნებით, სურვილით  
თუ ცაში არ გიფრენია.

რა არის შენი სიცოცხლე,  
თუ ქვეყნად ისე იარე,  
ლამაზი ქალის დანახვა  
ტანში არ გაგაურიალებს;

თუ ვერ მიხვდები, ვერ იგრძნობ,  
როდესაც ჟამი დადგება,  
რას ნიშნავს სამშობლოსათვის,  
ქვეყნისთვის თავის დადება.

რაა სიცოცხლე, თუ გულმა  
არ გითხრა და არ გაჩვენა,  
ერთი ლამაზი ლექსისთვის  
ლირდა ამქვეყნად გაჩენა.

02.06.2008 წ.

\* \* \*

არა სკამისთვის, არა ფულისთვის,  
 მხოლოდ სამშობლოს სიყვარულისთვის,  
 ვინც იტანს ტკივილს, სიცივეს, შიმშილს  
 თავის ცისა და მიწის გულისთვის.

ვინც შეკრულია მამულთან ფიცით  
 და თავის ხალხის ტკივილი ესმის,  
 ვისაც უყვარს და ვინც ფასი იცის  
 ქართული სიტყვის, ქართული ლექსის.

ვინც ქართველია სულით და გულით,  
 ღმერთს და სამშობლოს აღარ იცვლიან,  
 სულ არ მაწუხებს სახელი მათი  
 „პოზიცია“ თუ „ოპოზიცია“.

არავითარი „იქით“ და „აქეთ“,  
 არავითარი „ისტი“ და „მისტი“,  
 უნდა ვიცოცხლოთ სამშობლოსათვის  
 და უველამ თავი გავწიროთ მისთვის.

თბილი, 2009 წ.

## სააღდგომო დღესასწაული სამებაში

სული რწმენით იქსება,  
 გული აფრქვევს სიხარულს,  
 ქართველისთვის სამშობლო  
 ნიშნავს ღმერთის სიყვარულს.

არის უფლის იმედი  
გალობა და აქ დგომა.  
გვჯერა, მაღვ იქნება  
საქართველოს აღდგომაც.

აპრილი, 2009 წ.

## სამშობლოა ისევე აქ დარჩენის იმედი

დაბადებისთანავე თუ საფლავიც ითხრება,  
მოსვლა ამ ქვეყანაზე აღარ ღირდეს იქნება.

წუთისოფლის შემყურვე, ლამის სულიც აუგირდეს,  
სტუმრად მოსვლა ამქვეყნად იქნებ მართლა არ ღირდეს.

მაგრამ წუთისოფელი განა ყველას იმეტებს,  
სამშობლოა ისევე აქ დარჩენის იმედი.

სამშობლოა ისევე, ვინც აკეთებს არჩევანს,  
ქართველი ხომ მარტოდენ სიკვდილისთვის არ ჩნდება.

რადგანა გვაქვს დიდგორი, მარაბდა და ასპინძა,  
წუთისოფლის სტუმრები უნდა ვიქცეთ მასპინძლად.

უნდა ვიქცეთ სამშობლოს ხატებად და ბეგლებად,  
ლეგენდებად, მითებად, სიმღერებად, ლექსებად.

რადგანა ვართ ამქვეყნად თითზე ჩამოსათვლელი,  
ცის ნებაა ამქვეყნად დაბადება ქართველის.

ასე მჯერა, ასე მწამს, ცა აკეთებს არჩევანს,  
ღვთისმშობელი მფარველობს ქართველობის განვითარებას.

და თუ მაინც ამქეუყნად სიკვდილი გვაქვს მისჯილის მიზანის –  
უნდა პგავდეს სიცოცხლეს –  
სამშობლოსთვის სიკვდილი!

05.08.2008 წ.

## მეუფე ანანია ჯაფარიძეს

გაუვლია გოლგოთის გზა იბერია – ივერიას,  
საქართველოს მტერი იყო უველა დროის იმპერია.

რადგან ქვეყნის მატიანე გულზე ხატად გიშერია,  
კარგად იცი საქართველოს ვინ მოყვარე, ვინ მტერია.

ან რა მტერი შეედრება ერთმანეთის შურს და დალატს,  
განა მტერთან, – საქართველო შინაომით დაიღალა.

ვაგლახ! მუდამ საქართველოს ეს შური და მტრობა ღუპავს  
და ქართველთა ერთად ყოფნას შეპლადადებ მაღალ  
უფალს.

ჰყავდა მამულს ორგულთ გარდა, ღვთის წყალობით და  
ღვთის ნებით,  
თევდორები, ცოტნეები, დავითები, გორგასლები.

და დღეს მისხალ-მისხალ წონი მათ ტეივილს და  
გულის დარღებს  
და შენს ლოცვას მათ ჭრილობას მაღამოდ და  
წამლად ადებ.

ეფერები ყველას, ვინც კი მოიხადა ქვეყნის ვალი,  
სანთელივით წინ გინთია სახე წმინდა ქეთევანის.



გზად და ხიდად გადებული გესიზმრება ხშირად ატარებული  
სამშობლოს გზებს შეწირული და მაშვრალი  
სულხან-საბა.

აღარ აკლებ ხოგბა-ქებას არაგველთა სამას მხედარს  
და ცხრა შვილის გამზრდელ დედას მარაბდაზე  
ისევ ხედავ.

თავს ევლები სვეტიცხოველს, ბეთანიას, ყინწვისს, გელათს,  
დედასავით ეფერები დვთითკურთხეულ ქართულ ენას.

ეფერები, ვინც ეტრატებს ოფლითა და სისხლით წერდა,  
მას, ვინც ჯვარით, ხმლით და კალმით საქართველოს  
უღელს სწევდა.

ეფერები ფოლიანტებს, გადარჩენილ სიგელ-გუჯარს,  
საქართველო წლებსა და მტრებს მათი ნებით გადაურჩა.

რადგან ბევრი მტერ-მოყვარე დღესაც ავი თვალით  
გვიმზერს,  
შენი ლოცვით და წიგნებით ქართულ სულს და გულს  
აფხიზდებ.

და იხსენებ დიდ წინაპრებს სიყვარულით,  
კრძალვით, რიდით,  
ეს იმათი სისხლით, ბრძოლით გავიარეთ ბეწვის ხიდი.

ეს იმათი შექმნილია საქართველოს მატიანე  
და გმირების უკვდავ სახელს დროშასავით აფრიალებ!

036060, 2008 წ.



რადგან მოვედით ამქვეყნად,  
 ღმერთს გაჩენისთვის მადლობა.  
 მშვიდობით ყოფნა გვერჩიოს  
 ომებით დარღიმანდობას,  
 სიყვარული და სილადე –  
 სისხლით და ცრემლით დათრობას.  
 ცეკვა-თამაში გვერჩიოს  
 ომით და ბრძოლით გართობას.  
 ეს მიწა, უფლის წყალობა,  
 რაკი ცოცხლებს არ გვეთმობა,  
 დღეს დედამიწა გვაძალებს  
 ერთად ყოფნას და ერთობას.

იანვარი, 2009 წ.

## ამქვეყნად ერთი ღმერთია

არის სისხლის ღვრა, ტირილი, მოთქმა,  
 ამაოდ იწვის სანთელ-საქმელი,  
 ვებრძვით ერთმანეთს ადამის მოდგმა  
 უკვე ჩვენ-ჩვენი ღმერთის სახელით.

შურმა და მტრობამ რაც გვიყო, ვნახეთ,  
 ეს სითამამე მეტისმეტია,  
 ნეტავ რად ვარქმევთ სხვადასხვა სახელს,  
 როცა ამქვეყნად ერთი ღმერთია.

თებერვალი, 2008 წ.

\* \* \*

ჩვენს მტერს ალადებს და ათამამებს  
სიცობავე და ჩვენი სიმცირე,  
მაგრამ, დედებო, თქვენ თუ ისურვებთ,  
სამშობლოს მტერი ვერ გაიცინებს.

სანამ აცოცხლებს იმერ-ამიერს  
თქვენი სიმტკიცე და სიმამაცე,  
ქართულ აკვნების მრავალჭამიერს  
ვერც ერთი მტერი ვერ დაამარცხებს.

გაიხი, 2008 წ.

\* \* \*

უფლის გარდა სხვა პატრონი  
რადგან არვინ გვეგულება,  
ჩვენში ღმერთის სიყვარული  
ნიშნავს ქვეყნის ერთგულებას.

ოძობებები, 2008 წ.

## ლამაზი ქვეყნის ლამაზი ქალები

- გ. ჰიუგო: - რუსეთიდან ბრძანდებით?  
 ი. მეუნარგია: - არა, საქართველოდან.  
 გ. ჰიუგო: - ლამაზი ქალებით განთქმული  
ქვეყნიდან?

ქართველ ქალის სილამაზეს მტრების ციხე აუდია,  
ბევრი სამტროდ მოსულისთვის იარაღიც აუყრია.

მათი ხოტბით, მათი ქებით თავს იკლავდნენ პოეტები  
და არ გვაკლდა ქვეყანაზე არც მოყვრები და არც მტრები.

უყურებდნენ შურით, ბოლმით ჩვენი მიწის ფეხებს და  
საწყისს,  
იტაცებდნენ ქართველ ქალებს ისე, როგორც ოქროს  
საწმისს.

მათ ამაყ სულს ვერ იპყრობდა სულთანი და შაჟინშაჟიც,  
გულის კარს რომ ვერ უდებდნენ, აწამებდნენ, წვავდნენ  
შანთით.

და ჩვენც გვაბრძოლ-გვადიდგულა მათ ამაყმა უტეს  
სულმა,  
ქართველ ქალის სილამაზემ, ქართველ ქალის  
სიყვარულმა.

მათმა ეშხმა, სილამაზემ აამღერა რუსთაველი,  
და თინათინს, ასმათს, ნესტანს საქართველო ისევ ელის.

ელის ნატოს და ვერიკოს, დოდოს, ლიას, ნინოს, მერის,  
ელის წყნეთელს და წავკისელს, მაყაშვილის ასულს ელის.

ეს იმათი ნებით, რწმენით ჩექნ გაქრობა აღარ გვაჭრობა.  
გვეყოლება კიდევ ბევრი აღგეთელი, არაგველიც.

დვთისმშობლის წილ ქვეყანაში სილამაზე არ მოკვდება,  
არც ლამაზი ქალები და აღარც ლექსი მოაკლდება.

დღესაც მათი სინატიფე მზეს და მთვარეს ეტოლება,  
გვეყოლება თამარი და რუსთაველიც გვეყოლება.

ღვიძებები, 2008 წ.

\* \* \*

შველა ქართველი ქალის ვალია  
საქართველოსთვის შვილის განენა.  
დედები გვზრდიან ამ ქვეყანაზე  
დედასამშობლოს გადასარჩენად.

იანვარი, 2008 წ.

## ქართველი ქალი

ქალბატონ დოდო ჭიჭინაძეს

საქართველოში არის ლამაზი  
მთაცა და ბარიც, მიწაც და წყალიც,  
მაგრამ სხვა არის, სხვა სილამაზე  
საქართველოსთვის ქართველი ქალი.

ბევრი სიმღერა და ბევრი ლექსი  
დამშვრალა მათი ხოტბით და ქებით.  
არ მოგველებია მათი წყალობით  
აღარც მოყვრები და აღარც მტრები.

გამოგვყოლია ხატება მათი,  
 მათი ლაზათი და სილამაზე.  
 კვლავაც ამშვენებთ დღეს  
 თბილისქალაქს,  
 თვითონ თბილისი ამბობს ამაზე.

რომ უძლურია ხანდახან წლებიც,  
 ხომ დაამტკიცეთ თქვენ, ქალბატონო,  
 რომ სილამაზე აღარ ბერდება,  
 როცა ლამაზი სული პატრონობს.

იანვარი, 2008 წ.

\* \* \*

რადგან მათთვის სილამაზე  
 უფალს ჯილდოდ მოუცია,  
 ქართველ ქალთა ერთად ყოფნა  
 სილამაზის კონკურსია.

ოქტომბერი, 2008 წ.

## არ სჭირდება ფიცი-მტკიცი

არ სჭირდება ფიცი-მტკიცი,  
 რა კაცია, კარგად ვიცით,  
 ის, ვინც იცის რუსთაველის,  
 „იაქნანას“ ფასი იცის.

არ სჭირდება თქმა და ფიცი,  
 რა კარგია, კარგად ვიცით,  
 ის, ვინც იცის საქართველოს,  
 ქართულ ენის ფასი იცის.

ის ბოლომდე ერთგულია  
თავის ცის და თავის მიწის,  
თავის მამულს, ენას, რწმენას  
ის არასდროს გამოიცვლის.

გართი, 2009 წ.

## ჟამლებ გონაშვილის გახსენება

სულ ტყეილად ვწუხო და ვდელავთ,  
მაფშალია მოკვდა განა?!  
ისევ უმდერს გრემს და გელათს,  
ისევ ეტრფის ოშქს და ბანას,  
ისევ მამულს უდგას მცველად,  
რას მიქვია სხვა ქვეყანა...  
მაცხოვარმა მგალობელად  
სამოთხეში წაიყვანა!

20 03 2000, 1993 წ.

# მწამს, საქართველო აღარ მოკვდება

„სამშობლოსათვის თავდადებული გაჟერაცის საფლავი გულებული ციხე-სიმაგრეა მტრისათვის. სამშობლოს მიწა გვერჩიოს გულზე გვეყაროს და არა ფეხებეშ მისი ქვები“.

ოთარ პილაძე

სადაც სამშობლოს გულისცემაა,  
ნაღდი პოეტის გულიც იქ არი.  
რა კარგად ბრძანეთ, ოთარ ბატონო,  
ჩვენი სათქმელი და საფიქრალი.

თუკი სამშობლოს მართლა ვერ ვუვლით  
და მის მომავალს გულგრილად ვუმზერთ,  
ფეხებეშ სამშობლოს ქვები კი არა,  
ის ქვები უნდა გვეყაროს გულზე.

თუ მამულს მართლა ვეღარ ვპატრონობთ,  
მტრების სათრევეად, საჯიჯგნად იქცა,  
ჯობია მართლა გულზე გვეყაროს  
გადათელილი სამშობლოს მიწა.

მაგრამ მე მჯერა, ნაღდი ქართველი  
სამშობლო-მიწის არდამთმობია,  
ამაზე უთქვამთ ჩვენს დიდ წინაპრებს, –  
ცოცხლად მკვდარს  
კარგი მკვდარი სჯობია.

დგება დრო-ეამი, როცა მამული  
ყველას თავის წილს და ხვედრს მიაგებს,  
როცა ვაჟეაცის საფლავის მიწა  
ხდება სამშობლოს ციხესიმაგრე.

იცის სამშობლომ ძალიან კარგად,  
 რაა ქვეყნისთვის თავის დადება,  
 იცის, ვაჟაცის სიცოცხლე ქვეყნად  
 სიკვდილთან ერთად აღარ თავდება.

თუე დასჭირდა ხალხს და ქვეყანას,  
 ისევ ცოცხლების გეერდით დადგება,  
 ისეთ სიცოცხლეს ჰქვია სიცოცხლე,  
 სიკვდილის შემდეგ რომ იბადება.

რადგან ხალხსა და მამულს ეკუთვნის  
 ჩვენი გული და ჩვენი გონება,  
 არ გაგვაჩნია ქვეყნად ქართველებს  
 საქართველოზე დიდი ქონება.

ქვეყნის სათქმელი და საფიქრადი  
 რა კარგად ბრძანეთ, ოთარ ბატონო,  
 მწამს, საქართველო აღარ მოკვდება,  
 სანამ ქართული ენა პატრონობს.

ლექსები, 2008 წ.

\* \* \*

თუა მართლა გულით თქმული  
 და სამშობლოს ტარიგი,  
 აღარა აქვს დაბადების,  
 არც სიკვდილის თარიღი.

უფლის ნებით გაჩენილნი  
 სამუდამოდ ივლიან.  
 ნაღდი ლექსი ყველა დროის,  
 ყველა ქვეყნის შეილია.

იანვარი, 2008 წ.

\* \* \*

იმ პოეტებს უჭირთ ყოფნა  
 (დაამტკიცა ბევრჯერ დრომაც),  
 ვისაც აღარ ეხერხება  
 გაძრომა და გამოძრომა.

იმ ლექსებსაც უჭირთ ყოფნა,  
 ვისაც აღარ ეხერხება  
 პირფერობა, მლიქვნელობა,  
 ბატონების ხოტბა-ქება.

კი, ასეა, მაგრამ ბოლოს,  
 ბოლოს მაინც ისე ხდება,  
 უბატონო პოეტი და  
 უბატონო ლექსი რჩება.

თბილისი, 2009 წ.

## ოცნების ლექსი არ მექარება

ისე დიდია გულის წადილი,  
 მასზე ოცნება და მოლოდინი.  
 ვატყობ, ილუვა ჩემი სიცოცხლე  
 ერთი ლამაზი ლექსის ლოდინით.

მაგრამ ვერა და ვეღარ ვეღირსე,  
 მის კარიბჭესთან ვეღარ მივედი,  
 დაკეტილია ლექსის ტაძარი  
 და მეწურება ყველა იმედი.

ის კი არა და მაინც არა ჩანს,  
 ოცნების ლექსი არ მექარება,

აღარ იღება ტაძრის კარები,  
მე მაინც ვდგავარ ტაძრის კარებთან.

ოცნებას მაინც ვეღარ ველევი,  
ოცნების მეტი რა დამრჩენია  
და ისევ ვდგავარ საყდრის კარებთან  
და მათხოვრობის აღარ მრცხვენია.

დეკემბერი, 2008 წ.

\* \* \*

როცა დღეებს თითზე ვითვლი  
და ფინიშის ზარი მესმის,  
როცა აღარ მრჩება ქვეუნად  
საოცნებო ერთი ლექსიც;

როცა ვხედავ ქვეუნაზე  
ამდენ მწყურვალს, ამდენ მშიერს,  
მათხოვრებით სავსე ქუჩას,  
ტკივილს, წუხილს არმიწიერს;

როცა ვხედავ ჩემი ქვეუნის  
არეულს და დღეებს საშიშს,  
რა ვქნა, დროს ვერ გავატარებ  
ქიფსა და ლვინის სმაში.

ნოემბერი, 2008 წ.

\* \* \*

ამბობენ, დღეს ლექსის არ პყავს მკითხველი,  
 დაეცა სიტყვის, ლექსის მაზანდა.  
 ვაი, სირცხვილო, თუკი ასეა,  
 ჩანს, რომ ქვეყანა მართლაც გაბაზრდა.

მე კი, მე მჯერა, ენას რუსთველის  
 ვერვინ მოკლავს და ვერვინ დამარხავს.  
 ნამდვილი ლექსი მარგალიტია,  
 უნდა ძებნა და უნდა დანახვა.

ჩვენში ენა და ლექსი ქართული  
 იყო ყველაზე დიდი ქონება...  
 მარგალიტის და ლექსის ღირსება  
 აღარ იციან მხოლოდ ღორებმა.

036060, 2008 წ.

\* \* \*

გაუსაძლისი ხდება ხანდახან  
 თუმცა ამქვეყნად პოეტის ყოფა,  
 ის გოლგოთის გზა გერჩიოს, ძმაო,  
 უღმერთოდა და ულექსოდ ყოფნას.

ჯალათის ტყვია მოჰყება ხშირად  
 თურმე პოეტის გზასა და ყოფას.  
 საფლავის მიწა გერჩიოს, ძმაო,  
 უსამშობლოდ და ულექსოდ ყოფნას.

თუმცა წამება არის ხანდახან  
 მართლაც ამქვეყნად პოეტის ყოფა,

ულუკმაპუროდ ყოფნა გერჩიოს  
ქართული ენის გარეშე ყოფნას.

არც ჭამა-სმა და ჯილდო-ტიტული  
სიკვდილის შემდეგ სულს ვერ გიცხონებს,  
დიდხანს ცხოვრება არაფერს ნიშნავს,  
მთავარი არის როგორ იცხოვორებ.

ღიავებები, 2008 წ.

\* \* \*

როცა ქვეყანას დღეს ასე უჭირს,  
ისეთი ხმები, სიტყვები ისმის,  
არ არის მართლაც ზოგი ქართველი  
ქართულ მიწაზე დამარხვის ღირსი.

ვაგლაბ! ბევრ ქართველს დღეს საქართველო  
(თუმცა არ უნდა ცოდვის გამხელა)  
არა სამშობლოდ, არა საფლავად,  
სჭირდება მხოლოდ სახრაფ-სალხენად.

იანვარი, 2009 წ.

\* \* \*

ერთი გული მაქვს, ერთი სამშობლო,  
მე სხეა სამშობლო არსად მეგულვის.  
ერთი სიცოცხლით, ერთი სიკვდილით  
ვრჩები სამშობლოს მარად ერთგული.

ნოემბერი, 2008 წ.

\* \* \*

ნუ გშურს, მმობილო, საფლავი სხვისი,  
 ნურც სახელი და დიდება მისი,  
 ყველა ღებულობს ღირსია რისიც,  
 აწონილია სულ მისხალ-მისხლით  
 სამშობლოსათვის დაღვრილი ოფლი,  
 სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლი.

დეკემბერი, 2008 წ.

\* \* \*

სიკვდილის მერეც ვრჩებით ქართველად,  
 წვენი სისხლ-გენით, სულით, ფიქრებით,  
 თუ გეეუეარება ის საქართველოც,  
 წვენ რომ ვერ ვნახავთ  
 და არ ვიქნებით.

ოქტომბერი, 2008 წ.

\* \* \*

სინდის-ნამუსთან თუ ხარ გამწყრალი,  
 სურვილით თუნდაც თაესაც იყლავდე,  
 ქვეყნის სიუვარულს ვერვინ გასწავლის,  
 დაბადებიდან უნდა გიყვარდეს.

იანვარი, 2009 წ.

\* \* \*

ზოგი ქართველი, ვაიქართველი,  
 თუმც კახაბერობს, კახაბერს არ ჰგავს  
 და გაყიდული სამშობლოს ფასად  
 შოულობს ფულს და სამშობლოს კარგავს.  
 ფულიც, ქონებაც, ოქროც და ვერცხლიც,  
 დრომ და ცხოვრებამ გვანახვა კარგად,  
 ეს ყველაფერი თურმე წყალია,  
 წარმავალია  
 სამშობლოს გარდა.

სესტემბერი, 2008 წ.

## „შენ საქართველოთი ხარ ავადმყოფი“

მისაყვედურა ერთმა კოლეგამ

ჩემო ძმობილო, პირდაპირ გეტყვი,  
 შენმა სიტყვებმა მომგვარეს შვება,  
 აღარ მჭირდება ამაზე მეტი  
 მე აღარც ჯილდო და აღარც ქება.

ამაზე კარგი და უკეთესი  
 არა მგონია სხვა ვინმეს ეთქვას...  
 ჩემი სამშობლოს სიყვარულისგან  
 ნურც მომარჩინოს ნურასდროს ღმერთმა.

აპრილი, 2008 წ.

\* \* \*

ჩვენი ენა და სამშობლო  
 ერთად იძალებოდა,  
 კლავდინენ, მაგრამ არ კვდებოდა,  
 ისევ ფეხზე დგებოდა.

ვერა და ვერ მოგვერია  
 მტერი და დამპყრობელი,  
 რადგან ჩვენში ერთი იყო  
 „სამშობლო“ და „მშობელი“.

ყველა ჩვენი სიტყვა, ბგერა  
 ენის ნაპერწელია,  
 – „გამარჯობა“  
 – „გამარჯვების“  
 მართლა ტყუპისცალია.

არ ჩაქრება საქართველოს  
 საკმელი და სანთელი,  
 – „გამარჯობა“,  
 – „გაგიმარჯოს“! –  
 სანამ ამბობს ქართველი.

2008 წ.

## გულო, რატომ ოხრავ

გულო, რატომ ოხრავ,  
 სულო, რატომ კვნესი,  
 ვერ მოთხარა მტერმა  
 საქართველოს ფეხვი.  
 მტრის ჯინაზე ისევ,  
 ხომ ხედავ და გესმის,  
 ჭექს ქართული სიტყვა,

ქუხის რუსთველის ლექსი.  
 სანამ ქართველის დედა  
 მამულს აკვნით უვლის,  
 არ მოქვდება ერი  
 და ქართული სული.  
 სანამ სვეტიცხოვლის  
 ზარების ხმა გვესმის,  
 გულო, ნუდარ ოხრავ,  
 სულო, ნუდარ კვნესი.

სექტემბერი, 2008 წ.

## ვინც სიამაყით, ღირსებით მიღის

„სიამაყე უფრო ძვირი გვიჯდება,  
 ვიდრე შიშილი და სიცივე.“

თომას ჯეზერსონი

მე ვენაცვალე ყვალა იმ ქართველს,  
 იუდას ეერცხლთან ვინც აღარ მიღის,  
 ხშირად დამეებს მშიერი ათევს,  
 მაგრამ სამშობლოს ფულზე არ ყიდის.

ვინც ცივ ოთახში ვედარ იძინებს  
 და ცივ სასთუმალს იმედით ათბობს,  
 ვინც იგანს შიმშილს, იგანს სიცივეს,  
 მაგრამ ღირსებას არა და არ თმობს.

ვინც გაიარა, ვინც განვლო ასე  
 წუთისოფლის გზა – ეს ბეწვის ხიდი,  
 ვინც ამ ქვეჭნიდან იმ ქვეყანაში  
 სიამაყით და ღირსებით მიღის.

ივნისი, 2008 წ.

## სულის ტკივილი

ყველას თავის წესილი აქვს, ყველას თავის ტკირთი  
 მიაქვს,  
 ვაგლახ! ბევრი ცოცხლობს, მაგრამ ზოგს ცოცხალი არც  
 კი ჰქვია.

არც მე ვიცი, ვინ ვარ, რა ვარ, რა ვიქნები ან რა მელის,  
 და დღეს სული, სული მტკივა, რაღაც მიწა სულს ვერ  
 შველის.

არც იმედი არ მაქვს ხვალის, დარჩენის და სულის ხსნისა,  
 სიცოცხლეა მხოლოდ წყალი, თუკი აღარ დარჩა ქვიშად.

რა მტკივა და რა მაწუხებს, აღარ იცის სულმა განა?  
 ვერაფერი ვერ შევმატე ჩემს ხალხსა და ჩემს ქვეყანას.

ეს წესილი ტანჯვად მექცა და ცოცხალი სანამ კი ვარ,  
 შევდაღადებ ღმერთს და ზეცას  
 სული, სული, სული მტკივა.

როცა სული, სული მტკივა, როცა სული ბორგავს, კიუის  
 ვატყობ, მხოლოდ ლექსი შველის ჩემს წესილს და  
 სულის ტკივილს.

და ვაღმერთებ ქართულ სიტყვას, მე ხევა პატრონს არც  
 კი ვნატრობ,  
 ისიც ვიცი, ამ ტკივილით, ამ წესილით არ ვარ მარტო.

ისიც ვიცი, ცოტა იგებს ტკივილსა და წესილს ხევისას,  
 თუმცა მიწის შვილები ვართ, იმედით ვართ მაინც ცისა.

მე მსაჯული არ ვარ ხევისი, მაინც ვიტყვი, სანამ კი ვარ:  
 მეცოდება ყველა, ვისაც  
 სული, სული, სული სტკივა.

ნოემბერი, 2007 წ.

# მოსვლას არავინ არ გვეკითხება

„მე ხომ გაჩენა არ მითხოვია“.

ტერენტი ბრანდელი

ისე მოვდივართ ამ ქვეყანაზე, მოსვლას არავინ არ გვეკითხება. რისთვის მოვედი, რატომ მოვედი, გადამიყოლონ ლამის ფიქრებმა. ვიცი, არა ვარ ქვეყნად პირველი არც ამ წუხილით, არც ამ ფიქრებით, ვიცი, არა ვარ ქვეყნად პირველი და მჯერა აღარც ბოლო ვიქნები. ამ წუთისოფლის ორომტრიალში დავეხეტები მარტოსულივით, თურმე გავლიე მთელი ცხოვრება სხვათა ნებით და სხვათა სურვილით. ის გულუბრყვილო ჩემი დღეები ხელში ეჭირათ თურმე გარეწრებს, ჩემი სული და ჩემი გონება სიცრუის კევრით ისე გალეწეს, — როცა ვუყურებ დღეებს გარდასულს, სული ბორგავს და ასე მგონია, ისე დავბერდი ამ ქვეყანაზე, თითქოს ბავშვობა არც კი მქონია. ასე მგონია, ჩემი ბავშვობის, ახალგაზრდობის წლები წამართვებს, ეწირებოდა ჩემი სიცოცხლე თურმე ყალბ დღეებს, კერპებს, წარმართებს. როცა სიბერე კარზე მომადგა, მაშინ მივხვდი და მაშინ ვიგრძენი, აღარ ვყოფილვარ ამ წუთისოფლის არც სტუმარი და არც მასპინძელი. მოტყუებული და გაძარცელი შევრჩი სიბერეს მარტოსულივით,

ალბათ სხვა დროს და წლებს ავირჩევდი ჩემი ნებით  
და ჩემი სურვილით.  
მაგრამ რაც იყო დასაბამიდან, ვაგლახ, რომ ისევ ისე  
იქნება,  
მოსვლა არავის აღარ უკითხავს, წასვლასაც არვინ  
შემეკითხება.

თანვარ-თუმარვალი, 2008 წ.

\* \* \*

გამოვექეცი თითქოსდა ქალაქს  
და შევეხიზნე ტყის სიმყუდროვეს.  
აწეწილ ფიქრებს მაინც ვერ ვმაღავ,  
სულის სიმშვიდე მაინც ვერ ვპოვ.

არ მშველის თეთრი თმები და წლები,  
უკვე გაფრენილ დღეების პატრონს.  
თითქოს რაღაცის იმედით ვწვები,  
გათენდება და ისევ ვარ მარტო.

ამისტო, 2008 წ.

## მე კი მეგონა

ვაგლახ! ვერ ვხედავ, ვეღარ ვცნობ  
ბევრ ნაცნობსა და მეგობარს.  
ზოგი ლაჩარი გამოდგა,  
მე რომ ვაჟაცი მეგონა.

ვალი ხალხსა და სამშობლოს  
ლალატით გადაუხადა.

მე კი მეგონა, ქვეყანა  
და თავის ხალხი უყვარდა.

მე კი მეგონა, სამშობლოს,  
მამულის ფასი იცოდა,  
თურმე ქვეყნისთვის კი არა,  
თავის ჯიბისთვის იძრმოდა.

დღეს ჩემი გულისტკივილი,  
აბა, რა ენით გამოვთქვა,  
მე ერის კაცი მეგონა  
და სკამის კაცი გამოდგა.

01.03.2008 წ.

\* \* \*

მახსოვეს ხობისწყლის ამქუხარება,  
აზვირთებული მისი ტალღები,  
დამარცხებული გვალვის წუხილი  
და სიხარული მინდვრის ბაღების.

მე კი, მე ჩემი სათქმელი ვერ ვთქვი,  
ვერ გავცდი ჩემი საწუთოს ჯებირს,  
ტალღა კი არა, ვერ გავხდი წვეთიც,  
ისე მივდივარ და ისე ვშრები.

სექტემბერი, 2008 წ.

\* \* \*

რაღაც ცოტაა ამქვეყნად  
 კაცი სათხო და საუფლო,  
 ცოცხლებზე გულგატებილი  
 სიზმარში მკვდრებთან ვსაუბრობ.

თბილისი, 2008 წ.

\* \* \*

არვინ იცის, ვინ რას ეძებს  
 ანდა რისი მპოვნელია,  
 ვინ წყალია წარმავალი  
 ანდა ქვიშა რომელია,  
 მილიონის პატრონია  
 თუ გვირგვინის მკურობელია,  
 უსამშობლო კაცი ქვეყნად  
 არც არაფრის მფლობელია.  
 ეს საწუთო წუთი არის,  
 მართლაც წუთისოფელია,  
 თუ სიკვდილის შემდეგ ისევ  
 მამულში არ მოგელიან.

თბილისი, 2009 წ.

\* \* \*

ზოგი ფულს ითვლის, მე დღეებს ვითვლი  
 საქართველოზე ლოცვით და ფიქრით.

საქართველო, 2008 წ.

\* \* \*

## „ჩემი პატარა მტრები“.

ტერეზეთი ბრანდელი

უფლის ნებით, ვცდილობ, მაგრამ  
ვერ ვაქციე მოყვრად.  
არ მაკლებენ კაცუნები  
ჭორებს, ლანძღვას, ბოლმას.

რისთვის მმტრობენ, ვერ გავიგე  
და ეს მექცა დარდად.  
სხვას რას ვითხოვ ჩემი ქვეყნის  
სყვარულის გარდა.

ისე, ვატყობ, მიხარია  
და ამაყიც ვხდები,  
როცა მმტრობენ, მაგინებენ  
საქართველოს მტრები.

მარტი, 2008 წ.

## ძალიან გავუთამამდით

არ ვიცი, რისი ბრალია,  
არ ვიცი, ვისი ბრალია,  
მეფის და მგოსნის ტიტული  
დღეს გაიაფდა ძალიან.

როცა საფლავიც არ ვიცით  
დიდი შოთას და თამარის,  
მთაწმინდასა და მეფის ტახტს  
ძალიან გავუთამამდით.

დეკემბერი, 2002 წ.

\* \* \*

სამშობლოს ცას რომ ვუყურებ,  
 არ მომასვენეს ფიქრებმა...  
 ცხოვრება ისეც რა არის,  
 უსამშობლოდ რა იქნება.

დეკემბერი, 2008 წ.

## სანამდე ცოცხლობ

არის ამქვეყნად გოლგოთის გზა და  
 არის ამქვეყნად იუდას ჯილდოც  
 და სანამ ცოცხლობ ამ ქვეყანაზე,  
 უნდა საქვეყნო უღელი ზიდო.

ისევ დრო-ჟამი და წლები იტყვის,  
 ვინ არის ცის და ვინ არის მიწის,  
 დღეს რომ ასხამენ ხოტბას და ქებას,  
 ხვალ რა იქნება, არავინ იცის.

ეს ყველაფერი, ლანძღვაც, დიდებაც,  
 ზოგი წყალია და ზოგიც ქვიშა,  
 მთავარი არის, ხვალ რა გერქვევა,  
 დღეს რას გარქმევენ, – არაფერს ნიშნავს.

რადგან საწუთო მართლაც წუთია,  
 ცხოვრება კიდევ – თამაში, ფარსი,  
 მხოლოდ ხალხმა და სამშობლომ იცის  
 კაი ყმისა  
 და სიცოცხლის ფასი.

დეკემბერი, 2008 წ.

\* \* \*

თუნდაც ქვეყანა ეხვიოს თავზე,  
 პოეტის სული მაინც მარტოა...  
 ლექსსაც ვერავინ ვეღარ უშველის,  
 თუკი თავის თავს არ უპატრონა.

ივბერგაძი, 2009 წ.

\* \* \*

მაღალო ღმერთო, შენ გევედრები,  
 ნუ გამწირავ და ნუ მიმატოვებ,  
 რაյი ქართული ენა მაჩვეჭე,  
 გამხადე ერთი ლექსის პატრონიც,

მასზე ლოდინით დაღლილი სული  
 ისევ ცრემლებით რომ დავინამო,  
 რომ ჩემს სიცოცხლეს ვუთხრა მადლობა  
 და არც სიკედილი არ დავინანო.

იანგარი, 2009 წ.

\* \* \*

სხვებმა თავისი იფიქრონ,  
 მე ასე მჯერა ძალიან,  
 სიცოცხლეს რომ გვილამაზებს,  
 სიყვარული და ქალია.

გართი, 2009 წ.

# საქართველოში იყო პოეტი

„მე მოგეკვდები როგორც პოეტს შეჰვერის“.

გალაკტიონი

„და გაგიჟებას ვეღოდი ისეგ“.

ტერეზეთი ბრანდი

ცოტა ხედავდა, ცოტა იგებდა  
მათ ტკივილსა და გულის იარას,  
საქართველოში იყო პოეტი –  
ნიშნავს, გოლგოთის გზაზე იარო.

არც დღეს აკლიათ იმ ძველ სტრიქონებს  
თავის სიმართლე და გულწრფელობა.  
საქართველოში იყო პოეტი –  
„არის სიგიურ და თვითმკვლელობა“.

სექტემბერი, 2008 წ.

## სკამ-ფული

სახელ-დიდების შოვნაში  
კისრამდე არის ჩაფლული,  
ხანაც ფული და ხან სკამი,  
და ხანაც კიდევ სკამ-ფული.

ბოლოს არ რჩება არც ერთი  
ვინც სკამ-ფულშია ჩაფლული,  
არც სახელი და დიდება,  
აღარც სკამი და არც ფული.

დეკემბერი, 2008 წ.

## ბედნიერი უბედური

დაჯერებული თავის თავში,  
 კაცი უზნეო, უკეთური,  
 გაბრუებული ყალბი ტაშით  
 თავის ბედ-იღბალს არ ემდურის  
 და ცხოვრობს ასე ნირვანაში  
 ეს ბედნიერი  
 უბედური.

სამართლებრივი, 2006 წ.

\* \* \*

გლეხია თუ მუშაკაცი,  
 თუ გვირგვინის მფლობელი,  
 ყველასათვის წუთი არის  
 მაინც წუთისოფელი.

რადგან არვის აღარ ინდობს  
 ეს მაცდური დროება,  
 ჭკვიანი და ჭკუათხელიც  
 ებრძვის ამაოებას.

რადგან არის ეს ცხოვრება  
 ასე აყრილ-აშლილი,  
 ყველა თავის ჭკუით ზომავს,  
 ყველა – თავის არშინით.

არვინ იცის ამ საწუთროს  
 ტრიალსა და ჭრიალში,  
 რომელია საცოდავი –  
 სულელი თუ ჭკვიანი.

03.01.08, 2008 წ.

## ჯუბუ

მარტოხელა და ეული,  
 ოჯახებარგამოკეტილი  
 დაწანწალებდა ქუჩებში,  
 სულელი, მაგრამ კეთილი.

ასეთი მიუხაფარი,  
 საწყალი დარჩა ბოლომდე,  
 სხვაც დადიოდა მის გვერდით,  
 ჰკვიანი, მაგრამ ბოროტი.

სისულელე და სიავე  
 როცა გვერდიგვერდ არიან,  
 რომელი რომელს სჯობია,  
 ეს კიდევ საკითხავია.

დეკემბერი, 2007 წ.

## სუმრობით ნათქვამი ლექსები

ეს ცხოვრება ხანდახან  
 თურმე ისე იანგლებს,  
 ზოგისათვის შაშია,  
 ზოგისათვის – იაქე.  
 ნუ გწყინს, როცა სულელი  
 გლანძდავს და გაქიაქებს.  
 მთავარია, ამქვეუნად  
 ვინ გაგინებს, ვინ გაქებს.  
 მაგრამ ხმა სიმართლისა  
 ბოლოს ყველას მიაგნებს,  
 სიბოროტეს, სიკეთეს  
 თავის კუთვნილს მიაგებს

და ნუდარ გწყინს, თუ ბრიყვი  
გლანძღავს და გაქიაქებს,  
მთავარია იცოდვე,  
ვინ გაგინებს, ვინ გაქებს.

იანვარი, 2009 წ.

\* \* \*

სამოთხის კარი ხომ მადლით  
და სიყვარულით იღება.  
არ მინდა შერის და მტრობის  
სამაგიეროს მიგება.

ძალა მომეცი, უფალო,  
ზოგ უდმერთოს და უხატოს  
სიბოროტე და სიავე  
სიკეთით გადავუხადო.

დეკემბერი, 2008 წ.

## მიკვირს, ძალიან მიკვირს

„ქე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“.

ხოპრატე

თუკი ეგონა ასე,  
მართლა ბრძენსა და ჭკვიანს,  
რატომ უძვრებათ სულში  
გიუებს დიდების ჭია.

მიკვირს, ძალიან მიკვირს,  
მათ შემყურეს და მნახველს,

როგორ იხვეჭენ უცებ  
 ჰქონიანი კაცის სახელს.

როგორ იღებენ იერს  
 და ბრძენთაბრძენის სახეს.  
 მიკვირს, ნამდვილად მიკვირს,  
 მათ შემყურეს და მნახველს.

ანდა, ჩვენ რატომ ვარქმევთ  
 მას, ვინც კახაბერს არ პგავს...  
 ისე, გულწრფელად რომ ვთქვათ,  
 არც ჩვენ ვართ ალბათ კარგად.

0 ანგარი, 2008 წ.

## სამშობლოში თუ მის იქით

სამშობლოში თუ მის იქით,  
 გარეთა თუ შინ,  
 ყველა ეძებს თურმე სახელს,  
 დიდებას და ჩინს.  
 ზოგი ფულით, ზოგი სკამით  
 იქლავს თავის ეინს.

არ აწებებს არც შედეგი  
 სისხლიანი გზის,  
 არად აგდებს არც სამშობლოს  
 და არც ხალხის ზიზდს...  
 ყველას სულ ში, ჩანს, პატარა  
 დიქტატორი ზის.

დეკემბერი, 2008 წ.

# ლია წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს

იქით აკადემია,  
აქეთ აკადემია,  
იქით ბევრი ჭკვიანი,  
აქეთ მეტი ბრძენია.

ჭამის აკადემია  
და სმის აკადემია,  
ქუჩის აკადემიაც  
ქართულია, ჩვენია.

იმის აკადემია,  
ამის აკადემია.  
იქით გენიოსია,  
აქეთ კიდევ – გენია.

გვაქვს სამშობლოს დალატის,  
მტრობის აკადემიაც.  
ისიც უკვდავია და  
ქართულია, ჩვენია.

თუკი ქვეყნად ამდენი  
ჭკვიანი და ბრძენია,  
რა ვუწოდოთ, ბატონო,  
ნამდვილ აკადემიას.

2008 წ.

## წიგნი

წიგნს აღარ აკლდა საქართველოში,  
 არც მყიდველი და არც გამყიდველი.  
 ისიც ცხადია, იყო ყოველთვის  
 მკითხველიცა და გადამკითხველიც.

დღეს კი ამბობენ, ჩვენი გონიერა  
 მძიმე ცხოვრებამ ისე არია,  
 მკითხველს ვინ ჩივის, გადამკითხველიც  
 თურმე დღეს სანთლით საძებარია.

• • •  
 მაგრამ ესეც ხომ ცხადზე ცხადია,  
 ვხედავთ, დაღანებს, როგორც ჯეჯილი,  
 ბარ-რესტორნები ხალხით სავსე და  
 ქუჩა მანქანით გადაჭრდილი.

ნაღდად არ არის კარგის ნიშანი,  
 არც დრო დუმილის და პატიების,  
 როცა მრავლდება ლოტოკლუბები  
 და ქრება წიგნის მაღაზიები.

თანვარი, 2009 წ.

\* \* \*

უცხო პანგის და სიტყვის მსმენელი  
 მწარე ფიქრებმა დამიმარტოვეს;  
 ნეტავ სხვის პანტას რატომ დავეძებთ  
 თურაშაული პანგის პატრონნი.



როდესაც ვისმენ ქართულ სიმღერებს,  
სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ვხვდები,  
სულ სხვა ფიქრით და იმედით მავსებს  
ქართული სიტყვა, ქართული ხმები.

არ დაელევა ალგეთს ლეკვები,  
ქართულ სულს ვერვინ ვერ დაიმონებს,  
სანამ ვისმენთ და სანამ ვახსენებთ  
მოყმის და ვაფუხების ნათქეამ სტრიქონიშვილ.

ડ્રાઇવર્સ લિયલ, 2008 વિ.

ლაზ მომლერალს – ბაიარ  
(შაჲირ) გუნდარიძეს

თუმც მიწა ყველგან მიწაა, სამშობლოს მიწა სხვა  
არის, სხვა არის შენი სიმდერა, შენი გალობაც სხვა არის.

სხვა არის შენი ტკიცილი და შენი გულის საარიც, ხან უსაშეელო დარდია, ხან სიხარული ზღვა არის.

აღარ აკლია ქართული არც ჯიგარი და არც სული, ანალებშია წასული და ტკივილია წარსულის.

ამიტომ გულში ხანდახან სევდა ნაღველად გროვდება, შენი ხმა ზოგჯერ ცრემლია და წინაპართა გოდება.

და გვახსენდება ის წლები, ბედისგან განაწირები, ის ხვიჩა-ხვიჩა ბიჭები, თვალცრემლიანი ცირები.

დღეს შენი ხმა და სიტყვები ცაში ოცნებით მიქრიან, ის დღევანდელი ლაზების და წინაპართა ფიქრია.

ფიქტურია დარღით შეჭმული და დაღუელი გულების, სულში ნათელი აღგებათ, როცა შენ გვებულბულები.

როცა შენ მღერი, ბაიარ, გული საგულეს არ იცდის და მეცოდება ყველა, ვინც სამშობლოს ფასი არ იცის.

ამ დაკარგულ ხმას სამშობლო დიდი ხანია ელოდა... დიდ საქართველოს უგალობ პატარა საქართველოდან.

გამი, 2008 წ.

## ითხოვს შენდობას და პატიებას

ითხოვს შენდობას და პატიებას,  
რადგან ვერ უძლებს წუხილს და სირცხვილს  
სხვათა მიწაზე, სხვებისთვის, სხვისთვის  
უღვთოდ დაღვრილი ქართული სისხლი.

რა ავდანეთი, რა პაკისტანი,  
სულ ამაოთ უცხოთა ქება,  
ქართველი კაცი თავის ქვეუნისთვის,  
თავის ხალხისთვის თუ აღარ კვდება.

თავის ქვეუნის და მამულისათვის  
გარჯით და ბრძოლით თუ არ იღლება.  
წყალია მართლაც სისხლიც და ოფლიც,  
თუ სამშობლოსთვის აღარ იღვრება.

უცხოთა ცის ქვეშ დამარხულ ქართველს  
სულის ნუგეში ვერავინ მისცა,  
რადგანაც გულზე აღარ ეყარა  
წინაპრის სისხლით მორწყული მიწა.

ქართველი თავის მამულისათვის,  
 სამშობლოსათვის როცა არ კვდება,  
 იქ – უცხო მიწის მარტოღა მტვერი,  
 აქ საქართველოს მიწას აკლდება.

როდესაც კვდება ქართული სული  
 და სამშობლოსთვის გული ცივდება,  
 ასე მგონია, აქ საქართველო  
 პატარავდება,  
 ერიც მცირდება.

• • •  
 არც ჩვენ აგვცდება ტანჯვა-წამება,  
 ის მარტვილობა, ის სიმარტოვე,  
 ჩვენი უძლები სულის გულისთვის  
 მშიერ სამშობლოს თუ მივატოვებთ.

უცხო მიწაზე მაძღარ სიარულს  
 აქ ფეხზე დგომა თუ არ ვარჩიეთ,  
 არც ჩვენ დავრჩებით, თუ წინაპრების  
 საფლავი აღარ გადავარჩინეთ.

უედარ გვიშველის მარტო ლაყბობა,  
 ზოგი იუდას სიბრძნე-მისნობა,  
 არ მოვიშალეთ თუ ერთმანეთის  
 შური, ლალატი, მტრობა, ქიშპობა.

თუ აღარ გვაქნა ქვეყნად სამშობლო  
 (საშინელია თვით გაფიქრებაც),  
 ეს ყველაფერი,  
 მტრების კი არა,  
 ისევე ჩვენი ბრალი იქნება.

## არაფერია ქვეყნად ახალი

ღალატი, შური, აყალ-მაყალი,  
 ზოგის სიბრიყვე თუ სიბელადე,  
 არაფერია ქვეყნად ახალი,  
 ეს ყველაფერი იყო ჩვენამდეც.

ამაო არის წუხილი, მოთქმა,  
 ჩვენც ხომ იგივე გვერგუნა წილად,  
 რაც აწუხებდა ადამის მოდგმას  
 ასი წლისა თუ ათას წლის წინათ.

დღეს რომ ვუყვრებთ სევდიან თვალით  
 ჩვენს კარიბჭესთან მოსულ სიბერეს,  
 სხვებსაც ექნებათ ეს საფიქრალი,  
 ასი წლისა თუ ათას წლის მერე.

რაც ჩვენ გვაწუხებს, რაც ჩვენ გვახარებს,  
 საწუთროსგან გვაქვს ისევ მისჯილი,  
 არაფერია ქვეყნად ახალი,  
 აღარც სიცოცხლე და არც სიკვდილი.

*თებერვალი, 2008 წ.*

\* \* \*

არ მთავრდება ეს წამება  
 და სიცოცხლის მისტერია,  
 სამშობლოზე ფიქრმა მომკლას,  
 თუ სიკვდილი მიწერია.

ისე მივაღლ, ვერ გავიგე  
 ვინ მოყვარე, ვინ მტერია,  
 ისევ ლექსზე ფიქრმა მომკლას,  
 თუ სიკვდილი მიწერია.

0360ხი, 2008 წ.

\* \* \*

სიჭაბუკის წლებს და ხანას  
 წლების მომატება პქვია.  
 სანატრელი ის დღეები,  
 ვაგლახ, ისევ დრო-უამს მიაქვს.

სიბერე რომ გვეპარება,  
 მაშინ ვგრძნობთ და მაშინ ვხვდებით,  
 წლები კი არ გვემატება, –  
 სიკვდილს გვახლოებს წლები.

0262არი, 2008 წ.

\* \* \*

ხვალინდელი დღის იმედებს  
 სანამ ოცნება თან ახლავს,  
 სანამდე გულს უხარია  
 ლამაზი ქალის დანახვა,

სანამდე სული ხალისობს  
 და ემატება ფერს ფერი,  
 სანამდე თვალი ჭამს და სვამს,  
 გულო, არა ხარ ბებერი.

0222ერგალი, 2007 წ.

\* \* \*

თმების სითეთრე არაფერია,  
 თუ სიყვარულმა გული ახარა.  
 აბა, სიბერე რა სათქმელია,  
 გულს არ ეტყობა ერთი ჭაღარაც.

ეს გული ისევ შენზე ოცნებობს,  
 თუმც არ ისურვე, თუმც არ იკადრვე.  
 შენ არ გიყვარეარ?  
 არაფერია,  
 მთავარი არის, მე რომ მიყვარდე.

დეკემბერი, 2008 წ.

## რა კარგი იყო ის წლები

I

რა კარგი იყო ის წლები,  
 ცრემლმა რომ თვალი დანამა,  
 თავის ჩრდილად რომ მაქცია  
 ერთმა პატარა ქალამა,  
 როცა „ცა ქუდად მიმაჩნდა  
 და მიწა კიდევ – ქალამნად“.

II

იმ სიჭაბუქის დღეებმა, წლებმა  
 ეტყობა, ჩემთან ერთად იარა,  
 და როცა შემხვდი ოცი წლის შემდეგ,  
 შენ გულმა გიცნო, თვალმა კი არა.  
 ახალგაზრდობის ოცნებებს, ფიქრებს  
 თუ ვიგონებდი, – მხოლოდ ლექსებით,  
 დღეს შენთან ერთად იმ ლამაზ დღეებს  
 ჰქონები და ვგალერსები.

2008 წ.

# გადარჩა ლექსი და პოეზია

„იყო მრავალთა განადგურება,  
ლექსთა სიკედილი - კი - არასოდეს“.

ბალაკტიონი

ამ ქვეყანაშვ, ნებით განგების, ბევრი მოვიდა, ბევრი წავიდა,  
არ ჩანს შუქურა ალექსანდრის და ალარც ბალი  
სემირამიდას.

დრომ წაიდო და წლებმა წაშალა ბევრი ბრძენის თუ  
სიტყვა მეფისა,  
მაგრამ რაც იყო, ისევ ის არის ლექსი მოყმის და  
ლექსი ვეფხვისა.

ლექსი შვილია მთის და მინდვრების, ალგეთ-არაგვის,  
თუ თაგუარავნის,  
იბადებოდა ლექსი მაშინაც, როცა არ იყო  
საწერ-კალამიც.

რადგანაც სიტყვა იყო პირველი და სიტყვა იგი  
იყო მესია,  
დაინგრა ბევრი ძეგლი, კვარცხლბეკი, გადარჩა ლექსი  
და პოეზია.

თუმც დრომ წალეკა, დრომ გაიყოლა ბევრი სამეფო  
და იმპერია,  
მაგრამ ჟამი და ამაოება პომეროსის ლექსს ვერ მოერია.

მარადისობის სულმა მსახვრალმა გადაიარა ბევრი  
მთა-ველი,  
მაგრამ რაც იყო, ისევ ის არის ლექსი შექსპირის და  
რუსთაველის.

თუმცა დრო არის ყოვლის მსაჯული, ლექსი აღმოჩნდა სისულეებით  
დროზე ძლიერი,  
ლექსი გოეთეს, ბარათაშვილის, აკაკისა და ალიგიერის.

გადარჩენილი ყველა სტრიქონი თითქოს ბრძოლას პგავს  
დროსთან გადახდილს  
და ყველა ნაღდი, მართალი ლექსი იწერებოდა ღმერთის  
კარნახით.

და ვით არაგვი, ვითარც რიონი, მაღალი მთები  
კავკასიონის,  
იყო, არის და მარად იქნება ლექსი ვაჟას და  
გალაკტიონის.

ოქტომბერი, 2008 წ.

## შოთა რუსთაველი

იბადებოდა და მოჰყვებოდა  
ანგელოზების ლოცვა, გალობა.  
ზოგის სიცოცხლე დედამიწაზე  
არის ქვეყნისთვის უფლის წყალობა.

ზოგი რჩეული არის ღმერთის და  
ზოგი რჩეული – ერის, ბერისა,  
არის პოეტი თავის ხალხის და  
არის პოეტი ყველა ერისა.

ოქტომბერი, 2008 წ.

„დმურთან მისთვის გლაპარაკობ,  
რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

0801 ჰავთაგაძე

დმურთის ნებით და დმურთის წყალობით,  
თავის ხალხსა და მამულს შველოდა,  
ისევ გვმოძღვრავს და ისევ გვპატრონობს  
იმ მარადიულ საქართველოდან.

თორებ დღეს საქმე ისე წავიდა,  
ისე იმძლავრა სკამის მონობამ,  
ბევრი გიფი და ბევრი სულელი  
იჩემებს ერის წინამძღოლობას.

2009 წ.

## წარწერა ვაჟა-ფშაველას ერთ სურათზე

დახეულ ჩოხით, ძველი ბანდულით  
გვიმზერს ფოტოდან ცალთვალა დევი,  
ვაგლახ, დარიბი, მაგრამ მდიდარი  
მამულზე ფიქრით და ღამის თევით.

არა, არ იყო იგი სტუმარი  
არც თავის ქვეყნის, არც წუთისოფლის.  
ის აპურებდა სამშობლოს ლექსით,  
ოჯახს და ცოლ-შვილს – დაღვრილი ოფლით.

რადგან სამშობლოს ფასი იცოდა  
ქვეყნის უღელი ამაყად ზიდა,

ის ბახტრიონის ომშიც იბრძოდა,  
ლაშარის გორზეც ამაყად იდგა.

არ ასვენებდა არაგვის ხმები  
და იმ წიფელის ხმელი ფოთლებიც,  
ფშავ-ხვევსურეთის ამაყი მთები,  
ქართული სიტყვის, ლექსის ლოთები.

ამაზე მეტი არცა რა სურდა  
თვითონაც სიტყვის, ლექსის ფალავანს,  
საქართველოს ცა მიაჩნდა ქუდად,  
მიწა – შიშველი ფეხის ქალამნად.

გაიხო, 2008 წ.

## გალაპტიონი

ის დადიოდა უული,  
ექებდა სულის მეგობარს,  
ზოგს არ უწყოდა ვინ იყო,  
უბრალო კაცი ეგონა.

ზოგიც ფარული ბოდმით და  
ბოროტი გულით ხედებოდა,  
კარგად იცოდა ვინც იყო  
და შურისაგან სკდებოდა.

უსამშობლოოდ, ულექსოდ,  
უსიყვარულოდ ვერ ძლებდა.  
ის დადიოდა მარტო და  
სულის მეგობარს ექებდა.

ოძომბერი, 2008 წ.

## უსაფლავო პოეტები

ეძღვნება უსაფლავოდ დარჩენილ  
 ტიციან ტაბიძესა და უკუბოოდ და-  
 მარხულ მიხა ხელაშვილს.

სულს პოეტისას ამშვიდებს  
 და გულის ტკივილს აქარვებს,  
 როცა საფლავი არ არის,  
 მაგრამ ლექსები აქ არის.

მათმა ცხოვრებამ გვანახვა  
 და შავმა დრომაც გვაჩვენა,  
 ლექსის დარჩენა სჯობია  
 ზოგჯერ საფლავის დარჩენას.

თუ ქვეყნად სიმუხანათემ,  
 სიბილწემ გაიბატონა,  
 იმ უსაფლავო პოეტებს  
 ლექსი უდგება პატრონად.

ყველა ნაღდ პოეტს, კაი ყმას,  
 სამშობლოს თვალით დანახულს,  
 უსამშობლოოდ დარჩენილს  
 და უკუბოოდ დამარხულს,  
 ადარ ივიწყებს მამული,  
 რაღგანაც იცის ვინც არის,  
 ლექსია ძეგლიც, საფლავიც  
 და მათი კუბოს ფიცარიც.

აპრილი, 2009 წ.

## „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“

გალაკტიოზი

კალამი, ფუნჯი და საჭრეთელი  
რადგან ქვეყნისთვის თურმე ხმალია,  
დღეს ნიჭიერი ყველა ქართველი  
მეამაყება და მიხარია.

დღესაც რომ ვაგებთ ახალ სამებას,  
იმ წინაპართა დიდი სულია,  
უპირველესი ნიჭიერება  
თურმე სამშობლოს სიყვარულია.

მათი წყალობით დღესაც ქვეყანა  
დიდებასა და სახელს იმკვიდრებს,  
არ გაგვაჩინია ჩვენ იმ დავითზე  
და რუსთაველზე დიდი სიმდიდრე.

თუ დღესაც არის ჩემი მამული  
ასე ლალი და ასე ლამაზი,  
ისევე მაღლით იმ ქეთვევანის,  
ნიჭიერებით დიდი თამარის.

საქართველოში, აბა, სადა გვაქვს,  
ან საღ მარხია, ანდა სადა ძევს  
უფრო დიდი და კარგი საუნჯე  
მერჩულებე და სულხან-საბაზე.

ოქრო, ვერცხლი და ბრილიანტები  
სულ ამაო, სულ ტყუილია,  
ჩვენი ყველაზე დიდი განძია  
ბერი თევდორე, ბრძენი ილია.

ხომ დაუტოვეს მამულს სიმდიდრე  
ვაჟამ, აკაკიმ, გალაკტიონმა,

ნიჭმა ააგო სკოლური  
და იმ დიდგორზეც ნიჭმა იომა.

რადგანაც დღესაც მათი სახელი  
ქავების ხმალი და ქვეყნის ფარია,  
ყველა ნიჭიერ ქართველის ნახვა  
მეამაყება და მიხარია.

03.08.2008 წ.

## „კუდაბზიკობას თავი დავანებე“

ერთ დროს ახალგაზრდა, ახლა ხანში შესული  
ნიჭიერი პოეტის ნათქვამი.

ზოგი ჯელი მწერალ-მგოსნები  
დღესაც ზნესა და ფერს არ იცვლიან,  
თითქოს არ იყო გალაკტიონი,  
გამსახურდიაც აღარ იციან.  
თითქოს არ ახსოვთ ჯავახიშვილი,  
აღარ იცნობენ თურმე ტიციანს,  
ასე ჰგონიათ, მათ აკისრიათ  
ქართული ენის, სიტყვის მისია.

და ზოგს ჰგონია, რაკი მოვიდა,  
ეს საქართველო მარტო მისია.  
ხოტბას ასხამენ თავის თაობას,  
მარტო თავის ტოლს, მარტო მისიანს,  
მაგრამ დრო მოვა და მიხვდებიან  
ვისი სახელი რისი ღირსია.  
ქართული ლექსი და პოეზია  
ყველა პოეტის გულის სისხლია.

01.09.2009 წ.

\* \* \*

ეს ცა, ეს მიწა, ეს საქართველო  
 რაკი უფალმა ჩვენთვის ინება,  
 არ ექადრებათ ქართველ პოეტებს  
 დღეს ერთმანეთის ლანძღვა, გინება.

ღმერთის, მამულის, ლექსების გარდა,  
 აბა, ამქვეყნად რა დაგვრჩენია,  
 მაგრამ მამული და ეს სამშობლო  
 არც მარტო შენი და არც ჩემია.

თუმც დღეს პოეტებს უჭირთ ცხოვრება  
 და მკაცრი უდგათ დრო და ეპოქა,  
 ეს საქართველო, ჩემო თინათინ,  
 სასიყვარულოდ ყველას გვეყოფა.

დეკემბერი, 2008 წ.

\* \* \*

არაფერს ნიშნავს ჯილდო-ტიტული,  
 არაფერს ნიშნავს ხოტბა და ქება.  
 ბედნიერია პოეტი,

როცა

სამშობლოსა და ლექსისთვის კვდება.

დეკემბერი, 2008 წ.

## პანთეონი

პანთეონამდე გზა მისასვლელი  
 ხომ გასასვლელი ბეწვის ხიდია,  
 მაგრამ იქ ყოფნის და იქ დარჩენის  
 ნება-სურვილი ისე დიდია, —  
 პატრონიანი ხელით მისყავთ და  
 უპატრონონი თვითონ მიდიან.

იქ კი სხვა არის თურმე მსაჯული,  
 იქ სხვა კანონი, წესი ბატონობს,  
 ზოგ პატრონიანს წლები ივიწყებს  
 და უპატრონოს ხალხი პატრონობს.  
 — აგერ ლადო და აგერ ტერენტი  
 და ფიროსმანი, ჩემო ბატონო.

ღვევებერი, 2008 წ.

\* \* \*

ვიდას სჭირდება ქვეყნად სიმართლე,  
 ირგვლივ სიბნელე, სიყრუე თუა,  
 მიჭირს ცხოვრება, ნამდვილად მიჭირს,  
 როცა სულელი გასწავლის ჭკუას.

ნოემბერი, 2008 წ.

\* \* \*

„*β ḥāīdāē, à iā ṫāāñ*“.  
ბალთონი

სანამდე ვცოცხლობ, ერთი მაქვს ფიქრი –  
სამშობლოს ცა და მიწა დავიცვა,  
ისე გავლიო წუთისოფელი,  
აღარ ჩავქრე და  
ისე დავიწვა.

ნოემბერი, 2008 წ.

\* \* \*

რადგანაც ქართულ სიტყვას და  
სამშობლოს ვეალერსები,  
სიმდიდრეს არ გთხოვ, უფალო,  
მაჩუქე მხოლოდ ლექსები.

დეკემბერი, 2008 წ.

\* \* \*

სხვისი რა გითხრათ, სხვისი არ ვიცი,  
მე ღმერთს, სამშობლოს, რწმენას არ ვიცვლი.

იანვარი, 2008 წ.

## წლები და მტრები ვერ მოგვერია

თუმცა არ გვაკლდა მოშურნე, მტერი,  
მოძალადე და ძალად მოყვარეც,  
მაინც გადარჩა ქართველი ერი,  
ვეღარ მოსპეს და ვეღარ მოთხარეს.

თუმცა არ გვაკლდა არც შინა მტერი  
და შადიმანიც ბევრი გვერია,  
მაინც გადარჩა ქართველი ერი,  
წლები და მტრები ვერ მოგვერია.

რადგანაც ქართულ ხმალსა და ფარსაც  
სახელი ერქვა არაგველების,  
გადავრჩით მათი სიცოცხლის ფასად  
და ფასად ქართველ დედის ცრემლების.

დღეს კი ჩვენს სისხლით მორწყულ იმ მიწას  
ვიდაც იჩემებს, ვიდაც იფერებს,  
ბევრი მოსული მასპინძლად იქცა  
და ახლა მუშტს და მახვილს გვიდერებს.

ჩვენ კი, ჩვენ ისევ ვეძახით, ვუხმობთ  
ბევრ უცხოსა და შარახვეტიას,  
დღეს, როცა ჩვენში აკვნებზე უფრო,  
აკვნებზე მეტი – საფლავებია...  
ბავშვები ცოტა იბადებიან,  
გარდაცვლილები უფრო მეტია.

ვერ გამიგია, ვერა და ვერა,  
ვის სჭირდება და რაში გვარგიან  
ეს უცხო ხმები და სიმღერები,  
თუ ქართველები იქით გარბიან.

ვაგლაბ! ეს არის ჩვენი წუხილი,  
 საფიქრალი და ჩვენი სათქმელი,  
 ხომ არ დარჩება საქართველოში  
 ქართველი თითზე ჩამოსათვლელი.

ჩვენ ისიც ვიცით, ამ ქვეყანაზე  
 ვეღარ ვიქნებით მარტოდმარტონი,  
 მაგრამ არა და აღარ გვჭირდება  
 არც მოძალადე და არც ბატონი.

თორემ არასდროს დადუმებულა  
 ჩვენი სამოყვრო, საძმო ზარები,  
 კარგი მეგობრის, მეზობლისათვის  
 მუდამ დია გვაქვს გულის კარები.

არაფერს ნიშნავს მარტოდენ ფული,  
 თუ არ გერქმევა ქართველს ქართველი,  
 თუ ჩაქლეს ჩვენში ქართული სული,  
 იქნი, სიტყვა და ჩვენი სათქმელი.

თუ წაგვართმევენ ჩვენს ადათ-წესებს,  
 ქართულ ზნესა და ქართულ ხასიათს,  
 თუ ვეღარ დავწერ ქართულად ლექსებს,  
 ასეთ სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს.

თუ ჩემი ნებით, ჩემი სურვილით  
 ვეღარ დავივლი იმერ-ამიერს,  
 თუ ვეღარ ვნახე ცეკვა „ქართული“,  
 ვეღარ მოვისმენ „მრავალეამიერს“;

რა თავში ვიხლი ასეთ სიცოცხლეს,  
 მთაწმინდის ცაო, დიდგორის ველო,  
 თუ არ იქნება ქართული მიწა,  
 ქართული ენა

და

საქართველო!

## რა, რა ვიქნებით ასი წლის მერე

გამოვაღწიეთ რაკი აქამდე,  
 ვედარ მოგვსპეს და ვედარ გაგვთელეს,  
 ნეტავ რა ზნე და ფერი ექნებათ  
 ასი წლის მერე მოსულ ქართველებს.

სხვების არ ვიცი, მე ეს ფიქრები  
 არ მასვენებს და აღარ მცილდება,  
 ასი წლის მერე ქართველი ერი  
 იქნება მეტი თუ შემცირდება.

რა, რა იქნება ასი წლის მერე  
 მათი ოცნება, ფიქრი, ქცევანი,  
 თუ ეყოლებათ ნეტავ თავისი  
 ცოტნე, თევდორე და ქეთვეანი.

ნეტავ სამება-სვეტიცხოველში  
 ილოცებენ და ისევ ივლიან,  
 თუ ახსენებენ ნეტავ რუსთაველს,  
 გაჟას, აკაკის, წმინდა ილიას.

თუ ახსენებენ აღმაშენებელს,  
 გორგასალს ვინმე თუ მოიგონებს,  
 თუ ეყვარებათ ნეტავ იმათაც  
 ბასიანის და მიწა დიდგორის.

დღეს რომ ქართული ცეკვა-სიმღერით  
 ასე ვლადობთ და ასე ვდიდდებით,  
 ხომ არ შეცვლიან ასი წლის მერე  
 როკ-უნ-როლებით, უცხო პიტებით.

არა და არა, არ მოისპობა  
 ჩვენი ძირი და ჩვენი ფესვები.  
 მწამს, იქნებიან ის ქართველები  
 ჩვენზე კარგი და უკეთესები.

არა და არა, მწამს, საქართველო  
 იყო, არის და მარად იქნება.  
 არათუ თქმა და სხვაგვარი სიტყვა,  
 საშინელია თვით გაფიქრებაც.

ბევრი ვაჟკაცი, ბევრი კაი ყმა  
 მამულს ისევე დაებედება,  
 სამშობლოსათვის შესაწირ შეიღებს  
 ისევ გაზრდიან ქართვლის დედები.

ისევ ივლიან საქართველოში  
 ქართული სულით, ხმით და იერით,  
 მწამს, იქნებიან ის ქართველები  
 ჩვენზე მაგარი და ბედნიერი.

ოდონდ, უფალო, ერთს გევედრები, —  
 ჩვენი ჭირი და მტერი მარადი,  
 მოაშლევინე ქართველს ქართველის  
 მტრობა, ქიშპობა, შური, ღალატი.

და არ მოაქლო ლოცვა-კურთხევა  
 არც მიწიერი, არც ზეციერი.  
 ღმერთო! ამყოფე ის საქართველო  
 უფრო დიდი და უფრო ძლიერი!

გართი, 2009 წ.


\* \* \*

როგორ ვიცხოვრე, როგორ ვიარე,  
 ამის მსაჯული მე ვერ ვიქნები,  
 ის ვიცი, ჩემი ქვეყნის იარებს  
 ვეზერებოდი სიტყვით, ფიქრებით.

აღარ ვყოფილვარ შვილი უძღები  
 (და ამისათვის ვმადლობ განგებას),  
 როგორც შევძელი, ისე ვუძლებდი  
 ცილისწამებას, ჭორებს, ძაგებას.

ეს ჩემი ყოფა მოკლეც, ხანგრძლივიც,  
 ისე განსაჯეთ, როგორც გნებავდეთ...  
 არც ისე შორი დამრჩა მანძილი  
 მუხათწყაროდან მუხათგვერდამდე.

03.06.2008, 2008 წ.



## სარჩევი

პოეტი - მღლოცველი.	3
ისევ ჩვენ უნდა დავიცვათ.	6
სამშობლოზე ფიქრობდა.	7
არავის დაემონება.	9
* * * თუ ვაპარააშეთ მამულში.	10
თუ მამულს არ ეწირება.	10
ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრე.	11
ხმალი და კალამი.	12
გულებისა და ხელების ჯაჭვი.	13
„ომმა ბევრი გვასწავლა და დაგვანახეა“.	14
უცნობი ჯარისკაცის საფლავი.	15
აფხაზეთისთვის გმირულად დაცემულთა მემორიალი გმირთა მოედანზე.	16
საქართველოში ვინდა დაითვლის.	17
თავის დაღება და თავდადება.	19
მიხეილ თამარაშვილის გახსენება აგვისტოს თვეში.	20
ორი ათას ოვა წლის აგვისტო.	20
უპირველესი ჩვენი მტერია.	21
* * * საქართველოში, არ ვიცი რატომ.	22
თუ ქართველები ვიწენებით ერთად.	23
* * * არ მჰირდება ლაპარაკი.	24
* * * რადგან წუთისოფელი ბოლოს ყველას იმეტებს.	24
* * * განა მამულზე ფიქრობენ.	25
* * * ისევ ვისმენთ ვერცხლის ჩხრიალს.	25
ლალატის ჩემპიონები.	26
* * * კაენისა და იუდას ცოდვას.	27
სამშობლოს მოდალატე შვილის დედის გოდება.	27
* * * მუდამ იყო ქართველის ჭირი.	29
* * * განა შურის, განა მტრობის.	29
ვაი-პოლიტიკოსი.	30
* * * როცა საწუთო, ისედაც მოკლე.	30
* * * ძმათ ოსო და აფხაზო.	30
შემომეყარა ქართველი.	31
მოგვეც ქართველებს ნიჭი ერთობის.	32
ვერა და ვერ ებუება.	33
სისხლი და ოფლი თუ არ დაღვარე.	33
* * * რადგან სამშობლოს გზა არის.	34
ჩვენი მტები.	35
* * * ერთ დროს აქ სხვა ძეგლი იღგა.	35
თბილისს ერქვა თბილისი, ქუთაისი – ქუთაისი.	36
უცნობი ქალი მეტროს ვაგონში.	37

რაა სიცოცხლე	39
* * * არა სკამისთვის, არა ფულისთვის	39
სააღდგომო დღესასწაული სამებაში.	40
სამშობლოა ისევე აქ დარჩენის იმედი.	40
მეუფე ანანია ჯაფარიძეს.	41
* * * რაღგან მოვედით ამქვეყნად.	43
ამქვეყნად ერთი ღმერთია.	43
* * * ჩექნს მტერს ალალებს და ათამამებს.	44
* * * უფლის გარდა სხვა პატრონი.	44
ლამაზი ქვეყნის ლამაზი ქალები.	45
* * * ყელა ქართველი ქალის ვალია.	46
ქართველი ქალი.	46
* * * რაღგან მათთვის სილამაზე.	47
არ სჭირდება ფიცი-მტკიცი.	47
პამლეტ გონაშვილის გახსენება.	48
შვამს, საქართველო აღარ მოკვდება.	49
* * * თუა მართლა გულით თქმული.	50
* * * იმ პოეტებს უჭირო ყოფნა.	51
ოცნების ლექსი არ მექარება.	51
* * * როცა დღეებს თითზე ვითვლი.	52
* * * ამბობენ, დღეს ლექსს არ ჰყავს მკითხველი.	53
* * * გაუსაძლისი ხდება ხანდახან.	53
* * * როცა ქვეყნას დღეს ასე უჭირს.	54
* * * ერთი გული მაქს, ერთი სამშობლო.	54
* * * ნუ გშურს, ძმობილო, საფლავი სხვისი.	55
* * * სიკვდილის მერეც ვრჩებით ქართველად.	55
* * * სინდის-ნამუსთან თუ ხარ გამწყრალი.	55
* * * ზოგი ქართველი, ვაი-ქართველი.	56
„შენ ხაქართველოთი ხარ ავადმყოფი“.	56
* * * ჩვენი ენა და სამშობლო.	57
გულო, რატომ ოხრავ.	57
ვინც სიამაყით, ღირსებით მიღის.	58
სულის ტყივილი.	59
მოსვლას არავინ არ გვეკითხება.	60
* * * გამოვექმეცი თითქოსდა ქალაქს.	61
მე კი მეგონა.	61
* * * მახსოვს ხობისწყლის ამქუხარება.	62
* * * რაღგან ცოტაა ამქვეყნად.	63
* * * არვინ იცის ვინ რას ეძებს.	63
* * * ზოგი ფულს ითვლის, მე დღეებს ვითვლი.	63
* * * უფლის ნებით, ვცდილობ, მაგრამ.	64
ძალიან გაეუთამამდით.	64
* * * სამშობლოს ცას რომ ვუყურებ.	65

სანამდე ცოცხლობ.	65
* * * თუნდაც ქვეყანა ეხვიოს თავზე.	66
* * * მაღალო ღმერთო, შენ გევედრები.	66
* * * სხვებმა თავისი იფიქრონ.	66
საქართველოში იყო პოეტი.	67
სკამ-ფული.	67
ბედნიერი უბედური.	68
* * * გლეხია თუ მუშაკაცი.	68
ჯუბუ.	69
ხუმრობით ნათქვამი ლექსები.	69
* * * სამოთხის კარი ხომ მაღლით.	70
მიკვირს, ძალიან მიკვირს.	70
სამშობლოში თუ მის იქით.	71
დია წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს.	72
წიგნი.	73
* * * უცხო ჰანგის და ხიტყვის მსმენელი.	73
ლაზ მომღერალი – ბაიარ (შავირ) გუნდარიძეს.	74
თხოვს შენდობას და პატივბას.	75
არაფერია ქვეყნად ახალი.	77
* * * არ მთავრდება ეს წამება.	77
* * * სიჭაბუეის წლებს და ხანას.	78
* * * ხეალინდელი დღის იმედებს.	78
* * * თმების სითქმრე არაფერია.	79
რა კარგი იყო ის წლები.	79
გადარჩა ლექსი და პოეზია.	80
შოთა რუსთაველი.	81
* * * ღმერთის ნებით და ღმერთის წყალობით.	82
წარწერა ვაჟა-ფშაველას ერთ სურათზე.	82
გალაკტიონი.	83
უსაფლაკო პოეტები.	84
„ნიჭი, ძამიქო, ნიჭი“.	85
„კუდაბზიკობას თავი დავანებე“.	86
* * * ეს ცა, ეს მიწა, ეს საქართველო.	87
* * * არაფერს ნიშნავს ჯილდო-ტიტული.	87
პანთეონი.	88
* * * ვიდას სჭირდება ქვეყნად სიმართლე.	88
* * * სანამდე ვცოცხლობ, ერთი მაქეს ფიქრი.	89
* * * რადგანაც ქართულ სიტყვას და.	89
* * * სხვისი რა გითხრათ, სხვისი არ ვიცი.	89
წლები და მტრები ვერ მოგვერია.	90
რა, რა ვიქნებით ასი წლის მერე.	92
* * * როგორ ვიცხოვრე, როგორ ვიარე.	94

03/1423



ԺՈՂՈՎՐԴՅԱՆ ՄԱՐԿՈՍ  
ՈՂԱՆԱ ԽԱԺԱՐԱՐԵ

ՏԵՂՄԱՆ ԸՆԹԱՑ ԾԱԿԱՑՆԱԳՐԻ ՑԱՄՈՒՄ ՄԱՆՅԱ

---

Ո ԾԱԿԱՑՆԻ Ճ. №25, Ճ. 1

Ո 38-03-11

